გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 47
(11 504)
19 – 21 ივნისი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ეროვნულ ნაკრებს დროებით ალექსანდრე ჩივაძე უთავკაცებს?

## ჩივაძე ან დათანხმდება ან არა, „უნდა დაგვთანხმდეს“ – აცხადებს მერაბ ჟორდანია

4





რომაელთა მესამე ტრიუმფი 18 წლის შემდეგ

6



რივალდოს ჰეთ-რიკმა „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

ამ დღეებში განსაკუთრებით შთამბეჭდავი და სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი კომპლექსური ასპარეზობა გაიმართა თბილისში. ეს იყო სპეციალური ოლიმპიური თამაშები, რომელშიაც ფიზიკურ აქტივობას მოკლებული ინვალიდი მოზარდები მონაწილეობდნენ. მანამდე გაიმართა სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ყრილობა, რომელმაც პრეზიდენტად ვაჟა ლორთქიფანიძე აირჩია. ახალმა ხელმძღვანელმა ინვალიდის ათი ეტლი აჩუქა ბავშვებს.

გუშინ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს და დაგვირგვინდება თბილისში მასობრივი გარბენებით 23 ივნისს. ამ ღონისძიების ორგანიზატორებია სეოკ-ი და „კოკა-კოლა“.

ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა ინტერესი სპორტის წყალთა სახეობებისადმი, მაგრამ თბილისის ღია პირველობამ გვიჩვენა, რომ მდგომარეობა კვლავ სავალალოა. სხვაგვარად რით უნდა აიხსნას, რომ ეს შეჯიბრება მხოლოდ „ლაგუნა-ვერეს“ და მისი სპორტული სკოლის პირველობად იქცა.

გრძელდება საქართველოს მოსწავლეთა I სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

ქართული სპორტი ისევ დგას ფინანსური პრობლემის წინაშე, რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება...

### ევროპის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის

## ბრინჯაო – ზურაბ აზმაიფარაშვილს



ოჰრიდში (მაკედონია) დამთავრდა ევროპის მეორე ჩემპიონატი ვაჟთა შორის 204 (144 დიდოსტატის) მონაწილეობით.

13 ტური შვეიცარული სისტემით საკმაოდ გრძელი გამოდგა. ისე კი, უნდა ითქვას, ყოველგვარ შემთხვევით შედეგს გამორიცხავდა.

ყველაზე კარგი შედეგი – 9,5 – 9,5 ქულა ჰქონდათ ახალგაზრდა დიდოსტატებს რუსლან პონომარიოვს (უკრაინა, 21-ე რეიტინგი მსოფლიოში – 2677, დაიბ. 1983 წლის 11 – ოქტომბერს) და ემილ სუტოვსკის (ისრაელი, 84-ე რეიტინგი – 2605, დაიბ. 1977 წლის 19 სექტემბერს). მათ შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი სწრაფი პარტიებისაგან, რომელიც სუტოვსკიმ მოიგო.

ევროპის ახალი ჩემპიონი ემილ სუტოვსკი ბაქოში დაწინაურდა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერ ჭაბუკ მოჭადრაკედ ითვლებოდა. უკვე რამდენიმე წელია ისრაელში ცხოვრობს და შედის ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში.

9-9 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ზურაბ აზმაიფარაშვილმა და განთქმულმა იუდით პოლგარმა (უნგრეთი). ზურაბმა შეჯიბრება აუღელვებლად დაიწყო, დასაწყისში ყაიმებით კმაყოფილდებოდა. მან მშვენივრად გათვალა თავისი ძალები და თანდათან სულ უფრო მტი შემართებით იბრძოდა. შეჯიბრების მეორე ნახევარში იგი უკვე პარტიას პარტიაზე იგებდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შეხვედრას შავებით ბოლო ტურში შეჯიბრების ერთ-ერთ უძლიერეს მონაწილესთან, ახალგაზრდა ჰოლანდიელ დიდოსტატ ლიუკ ვან ველისთან, რომელიც თითქმის მთელ ტურნირს ლიდერობდა. ზურაბმა დაამარცხა ჰოლანდიელი, რომელსაც ახლა მსოფლიოში მეთორმეტე რეიტინგი (2700) აქვს და სატურნირო ცხრილში რამდენიმე ადგილით უკან დაახევინა. ამ პარტიამ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა შეჯიბრების უხუცეს მონაწილე ვიქტორ კორჩნოიზე, რომელმაც მიულოცა კიდეც ქართველ დიდოსტატს.

დებულების თანახმად ბრინჯაოს მედალოსნის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი სწრაფ ჭადრაკში ორი პარტიისაგან ზურაბ აზმაიფარაშვილსა და იუდით პოლგარს შორის, რომელიც მოიგო ქართველმა მოჭადრაკემ ანგარიშით 1,5:0,5 და მესამე ადგილზე გავიდა.

უნდა ითქვას, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ეს დიდი გამარჯვება. იგი მთელი შემართებითა და ენერგიით თამაშობდა, საუკეთესო თეორიული მომზადება და მაღალი კლასი აჩვენა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი მოჭადრაკე ევროპის ჩემპიონატში ესოდენ მაღალ ადგილს იკავებს.

7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება დიდოსტატებმა ზურაბ სტურუამ, გიორგი ყაჭეიშვილმა და საქართველოს ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა მიხეილ ყაჭეიშვილმა. 6,5 ქულა მოაგროვა ბაადურ ჯობავამ, 6 – ზვიად იზორიამ.

შეჯიბრების შედეგების თანახმად 46 მოჭადრაკეს მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლება ეძლეოდა. ზურაბ აზმაიფარაშვილს ადრეც ჰქონდა მოპოვებული ეს უფლება, ჩვენმა დანარჩენმა მოჭადრაკეებმა კი ვერ შეძლეს უძლიერესთა შორის მოხვედრა.

ბიბი ბამრეკელი

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:



ლილიან ტიურამი

წუხელ ცნობილი გახდა, რომ „პარმას“ ფეხბურთელი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ლილიან ტიურამი ბოლოს და ბოლოს მაინც გადავიდა „იუვენტუსში“. კონტრაქტი ხუთწლიანია.

## „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი მატჩი მოიგო

4



## კურნიკოვას და დემენტიევას რეიტინგი დაეცა

გუშინ, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა მორიგი რეიტინგი. კურნიკოვა, რომელმაც ამ დღეებში მსოფლიო ჩოგბურთის პირველი ლამაზმანის იმიჯი დაკარგა, ახლა რეიტინგშიც მოეცარა ხელი. ბირმინგემში დამთავრებული ტურნირი ფრანგმა ნატალი ტოზიამ მოიგო, წინ წაიწია, დაიკავა მე-10 ადგილი და ორი საფეხურით შეავიწროვა რუსეთელები – კურნიკოვა და დემენტევა.



## ფეხბურთი.

ეროვნული ჩემპიონატები.

**შვედეთი:**

ელფსბორგი – გიოტებორგი 3-2
ჰეკენი – დიურგარდენი 1-2
ორებრო – ტრელებორგი 3-2

## მოკლედ...

- „ფენერბახჩეს“ მოსწავლი სურს შეიძინოს
- შირერმა ვარჯიში დაიწყო
- „ბეტისის“ პრეზიდენტი გადადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 234 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# საჭადრაკო ფესტივალი «თბილისი XXI საუკუნე»

ასპარეზობა ,,მოქალაქეთა კავშირის პრიზზე" ჩატარდა და გარდა ამ ორგანიზაციისა, მისი თაოსანი იყო თბილისის საჭადრაკო კლუბი ,,მართვე". აღსანიშნავია, რომ მონაწილეთაგან ყველაზე უმცროსები 6 წლის ბავშვები იყვნენ, მათ შორის თეონა ვასაძემ თავის კბილა ბიჭებთან ისპარეზა და იმდენივე ქულა (3) მოაგროვა, რაც მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა ბიჭებმა, თეონას კი პირველობა გოგონებში ხვდა.

**გაგაცნობთ გამარჯვეულებს და პრიზიორებს ასაკის მიხედვით: 6 წ.:** ნიკა კისკეიძე — 3,5 ქულა, დავით ქიაურელი (საგარეჯო) — 3, ირაკლი სარალიძე — 3 (აქ და ქვემოთ საგარეჯოელთა გარდა, ვისაც მითითებული არ აქვს ქალაქი ან რაიონი — თბილისელია). **8 წ:** საბა როპიაკი — 5,5, ანდრეი ერვანდიანი — 4,5, გიგი გელდიაშვილი — 4,5; **გოგონები:** ეთერ სიბოშვილი (საგარეჯო) — 3,5, ნათია ნაჭყებია — 3, სალომე ბერდიაშვილი — 3, **10 წ:** ალექსანდრე მერაბიშვილი — 5,5, ნიკა ღურწკაია — 5,5, დავით გურგენიძე (საგარეჯო) — 3,5. **გოგონები:** ირმა გელდიაშვილი, მარია ზუბიაშვილი, მარიამ დავითაშვილი (სამივე 4-4 ქულა); **14 წ:** დავით ზარქუა — 4,5, რომან ჩიტაძე — 3,5, ვანო ალფენიძე — 3; **გოგონები:** ანა გავაშელი — 3,5, მაია სუხიაშვილი — 3, ნინო ბუზარიაშვილი — 2,5; **16 წ:** გიორგი მარგიშვილი — 5,5, ლევან გოგოჭური — 5, გიორგი გაბაშვილი — 5; **გოგონები:** ნონა დათუაშვილი — 3,5 მეგი ესებუა — 3, დიანა ხაინდრავა — 2,5



საგარეჯოელ კიდევ ორ მონაწილეს გიორგი ჭიბერაშვილს და გიორგი კავთუაშვილს გადაეცა მოქალაქეთა კავშირის სპეციალური პრიზი და დიპლომები.

**ნათია სხირტლაძე**



*ირმა გელდიაშვილი*



*დათო ზარქუა*



*გიორგი მარგიშვილი*

# ჯიუ-ჯიცუს აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი თბილისშია

ჯიუ-ჯიცუ აღმოსავლური ორთაბრძოლებიდან ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ერთ-ერთმა პირველებმა ეროვნული ფედერაცია თბილისელმა ენთუზიასტებმა ავთანდილ მიქაძის ხელმძღვანელობით შექმნეს ჯერ კიდევ 1989 წელს და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვეს. სწორედ ეს გახდა საფუძველი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ჯიუ-ჯიცუს საზოგადობის ცენტრად საქართველო, კერძოდ თბილისი იქცა. შარშან, დეკემბერში ეს ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და უკრაინის წარმომადგენლების მონაწილეობით. პრეზიდენტად აირჩიეს ავთანდილ მიქაძე. ამ დღეებში კი ჩვენს დედაქალაქში თბილისის პირველი ღია საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. სპორტსმენები მოავლინეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა, უკრაინიდან კი მეთვალყურე ჩამოვიდა.

მასპინძლები ტურნირში ოთხი გუნდით ჩაებნენ. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელებმა ძირითადად ძიუდოისტები ჩამოიყვანეს. საერთოდ ჯიუ-ჯიცუს, ძიუდოს და სამბოს ფედერაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ასეა ჩვენთანაც. ჩვენმა ოსტატებმა წარმატებით იასპარეზეს, რაშიაც დიდი დამსახურება მიუძღვის ვახტანგ ხარხელაურს, თამაზ ჯანგირაშვილს და დავით ბაბუაძეს.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს:*** ავთანდილ მზარეულიშვილი (21 კგ), გიორგი ბროლაშვილი (25, ორივე — „ლოკ"), მურად ალიევი (29, აზერბ), მიხეილ კირაკოსიანი (33), მიხეილ რობაქიძე (35, ორივე — ლოკ), ზაზა უმფრიანი (38, „პაბკიდო"), ლევან ჟღენტი (45, „ლოკ"); იუნიორები: სულიკო ჯამრიშვილი (49), გიორგი ბედოშვილი (52, ორივე — „ლოკ"), პეტრე კაიშაური (55, პაბკიდო"), საბურ კარაევი (58, აზერბ), ზურაბ ნადირიანი (62), გიგა სოსელია (66, ორივე — „ლოკ"), გასან ალიევი (აბო. წონა, აზერბ); მოზრდილები: ავთანდილ ცინცაძე (62), ზურაბ ბაშარული (69, ორივე — „ლოკ), ორხან გულიევი (77, აზერბ), ლევან გოგოლაური (84), შმაგი კვირიკაშვილი (აბს. წონა, ორივე — „ლოკ"), გოგონები: ნათია ვეშაგური, (38. „ლოკ"), თამუნა ჩინაშვილი (41, ორივე — „ლოკ"), ჩაქსანა ახმედოვა (58), ლეილა მამედოვა (68, (ორივე — აზერბ).

***გუნდური:*** 1. „ლოკომოტივი" 2 (მწვრთნელი ვახტანგ ხარხელაური), 2. „ლოკომოტივი" 1 (მწვრთნელი თამაზ ჯანგირაშვილი), 3. აზერბაიჯანი 1 (მწვრთნელი სეიდოვ მირ-ალი).

ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი გადაეცა 7 წლის სპარტაკ ნავროზაშვილს, გამარჯვებისაკენ სწრაფვის — მნაცაკან ანტონიანს (სომხეთი), რაინდული შემართებისთვის — ირაკლი ალხაზიშვილს. საუკეთესო მსაჯად დასახელდა ვახტანგ ხარხელაური, ტურნირის საუკეთესო ორგანიზებისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა თამაზ ჯანგირაშვილი.

**ცოტნე ბაქრაძე**



# ბათუმელი გულადი თხილაიშვილი შინ სამი მედლით დაბრუნდა

ამასწინათ, ქ. ოდესაში დიდი საერთაშორისო ღია ტურნირი გაიმართა კარატეში, 34 ქვეყნის 700-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობით. საქართველოს გოჯორიე (კონტრაქტორი) კარატეს ნაკრებიდან ბათუმელი გულადი თხილაიშვილი მიიწვიეს. ოდესიდან მან 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. კონტრაქტურ, ნახევარკონტრაქტურ და აბსოლუტურ პირველობაში. შვიდი შერკინებიდან მან ექვსი გამარჯვებით დაასრულა.

გულადი თხილაიშვილი საქართველოს გასული წლის ჩემპიონია, იგი შავი ქამრის მფლობელია, ევროპისა და დსთ-ს აბსოლუტური ჩემპიონი. მისი მწვრთნელებია გია ჯაფარიძე და პაატა ჭელიძე.

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში.**

# ახალბედების ტურნირი

თბილისში, სპორტსაზოგადოება ,,შევარდენის" ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა სპორტსკოლის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1987-89 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

**ახალბედა მოჭიდავეები კარგად იყვნენ მომზადებულნი, გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:**

**29 კგ:** 1. ვახტანგ გოგოლაშვილი (,,მართვე"), 2. შალვა ელიზბარაშვილი, 3. გიგა ხომერიკი (ორივე — ,,შევარდენი"); **32 კგ:** 1. გიორგი წამალაიძე, 2. ბექან თავბერიძე, 3. ვლადიმერ გუკასოვი (სამივე — ,,მართვე"). **35 კგ:** 1. დავით საბანაძე (,,შევ".), 2. გიორგი აბულაძე, 3. მიშიკო ბათხაძე (ორივე — ,,მარ"). **38 კგ:** 1. პეტრე წიქარიძე, მეორე და მესამე ადგილებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ძმები ლობჟანიძეები — გიორგი და გურამი. გაიმარჯვა უფროსმა ძმამ — გიორგიმ (სამივე — ,,შევ."). **42 კგ:** 1. გიორგი მუჩაიძე, 2. შოთა მაისურაძე (ორივე — ,,შევ"), 3. ლაშა გობეჯიშვილი (,,მარ"); **46 კგ:** 1. ვალერი ფირცხალავა (თედიაშვილის კლუბი), 2. ირაკლი დეკანოიძე, 3. გიორგი რაჭველიშვილი (ორივე — ,,მარ"); **50 კგ:** 1. თორნიკე რობაქიძე (,,შევ"), 2. ონისე დადუნაშვილი (,,მარ"), 3. მიხეილ აბრამიშვილი (,,თ.კ."). **54 კგ:** 1. ლევან აბრამიშვილი (,,თ.კ."). 2. ვახტანგ ლამაზიშვილი (,,შევ"). **63 კგ:** 1. აკაკი სონღულაშვილი (,,შევ"), 2. მანუჩარ ღვინჯილია (,,მარ"), 3. გიორგი გაბაშვილი (,,შევ"); **68 კგ:** 1. გაბრიელ როსტომაშვილი, 2. ლევან ქაშიაშვილი, 3. ჯონი ლობჟანიძე (სამივე — ,,შევ"); **73 კგ:** 1. ლაზარე მარსაგიშვილი (,,შევ"), 2. ბექა ღუდუშაური (,,მარ"), 3. გიორგი ქამიერაშვილი (,,თ.კ.") **+73 კგ:** 1. გიორგი ხუტაშვილი, 2. გიორგი მეტრეველი (ორივე — ,,შევ").



გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ დიპლომები და პრიზები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ბორის ქვირიამ, საუკეთესო ტექნიკისათვის, პეტრე წიქარიძეს (იხ. სურათზე გამარჯვებული) სპეციალური პრიზი გადასცა.

**ანზორ კვირიკაშვილი,**
მსაჯი

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*

**მძლეოსნობა** | **საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

***ქალები: 100 მ:*** აიდა ტოროსიანი (თბ) — 11,9, მარიამი შულაია (ზუგ) — 12,5, ანა ნიკოლაიშვილი (თბ) — 12,6; ***თარჯ. 100 მ:*** ია დარახველიძე 15,2, ანა ნიკოლაიშვილი (ორივე — თბ) — 17,8; ***200 მ:*** ტოროსიანი — 24,8, იულია დუბინა — 25,6, თამუნა ესებუა (ორივე — თბ) — 26,4; ***400 მ:*** ესებუა — 58,7, დუბინა — 59,1; მარინა ეთიმოვა (თბ) — 1,01,8; ***400 მ. თარჯ:*** ესებუა — 1,06,7, მარინა ეთიმოვა 1.08,3, იამზე ტოგონიძე (ორივე — თბ) 1,15,8; ***800 მ:*** ქეთინო აბრამიძე (ვანი) — 2,21,3, მარინა გვარამაძე (ახალც) — 2,27,7, ქეთინო ბუზარიაშვილი (საგარ) — 2,32,2; ***1500 მ:*** აბრამიძე — 4,58,5გვარამაძე — 5,18,1, სოფიკო გობოზოვა (ჭიათ) — 5, 23, 5; ***3000 მ:*** სოფიკო ლაბაძე (ახალც) — 10,57,9, ნანა გუთანაიძე (ახმეტა) — 10, 59,7, ნათია გელაშვილი (ბორჯ) — 12.27,6, ***4X100 მ:*** თბილისი — 52,7, ბორჯომი — 56,8. ***ბირთვი:*** მაკა ობოლაშვილი — 13,72, მარიამ ქევხიშვილი (ორივე — გარდ.) — 12, 99, სოფიკო ადეიშვილი (სამტრ) — 9,80; ***ბადრო:*** ქევხიშვილი — 24.46, მზექალა ბობოხიძე (ხონი) — 22,84, ლელა გელაშვილი — (თიან) — 22,64; ***შუბი:*** მარიკა თუთისანი (ქუთ) — 32,99, ეკა კეთილაძე (ხონი) — 32,65; ***სიგრძე:*** ობოლაშვილი — 5,74, ნათია ჯანელიძე — 5,30, ირინა ხოროშევა (ორივე — თბ) 5,09; ***სამხტომი:*** ტოროსიანი — 11,89, ტოგონიძე — 11,27; სიმაღლე: დარახველიძე 165. ***ვაჟები:*** რუსლან რუსიძე (ბათ) — 10,2, ბადრი ბადრიძე — 10,4, გიორგი თოდაძე (ორივე — თბ) — 10.9; 200 მ: ბადრიძე — 21,1, შამილ მამედოვი (ბათ) — 21,3, ანდრეი პოზიაილო (თბ) — 22,2; 400 მ: კახაბერ ვაჩეიშვილი (ბათ) — 49,3, სანდრო ბედუკაძე — 50,1, რომა მანუკიანი (ორივე — თბ) — 50,2; ***800 მ:*** მანუკიანი — 2,00,2, გიორგი იურკანოვი (გარდ) — 2,03; ალექსი გოგოლაძე — ქარელი — 2,09,6; ***1500 მ:*** ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალც) — 3,55,4, ანდრო მეტრეველი (თბ) — 4,12,1, გიორგი გოგიტიშვილი (ბორჯ) — 4, 12,3; ***3000 მ:*** ზილბერშტეინი — 8,31,2, გოგოტიშვილი — 9,48,9, ჯეირან ხოფერია — ფოთი — 10,10,9; 5000 მ: ჰამლეტ მამიკონიანი (თბ) — 15,56,3, ხოფერია — 17,40,20, ზაზა ნარმანია (ორივე — ფოთი) — 17,54,0; ***თარჯ. 110 მ:*** დავითი ილარიანი, (გარდ) — 14,0, სერგი ტურიატკო, (ქუთ) — 14,3, გიორგი გვიჩია, ფოთი — 17,2; ***400 მ. თარჯ:*** ტურიატკო — 53,8, გვიჩია — 1,02,1, მამუკა ფაჩულია, ფოთი — 1,03,4. ***გუნდური (თარჯ. 400 მ.)*** თბილისი — 3,36,0, ფოთი — 3,48,0; 4X100 მ: ქუთაისი — 46,2, თბილისი — 47,2. ***ურო:*** ლერი ჩიტაიშვილი (თბ) — 60,94. ***შუბი:*** ზურაბ შეთეკაური — 67,40, როსტომ ჭინჭარაული (ორივე დუშ) — 62,20, გიორგი ხვთისიაშვილი — 48,48. — (მცხ); ***ბადრო:*** 1. ზურაბ გიგაია (მარტვ) — 35,99, ჭინჭარაული — 35,54, 3. მამუკა ტუღუში (ოზურგ) — 34,45; ***ბირთვი:*** ჭინჭარაული — 14,07, ტუღუში — 13,93, ბენიკ აბრამიანი (თბ) — 13,45; ***სიმაღლე:*** თემურ ბედუკაძე — 1,80, პაატა ჩოხელი — 17,0, გიორგი მაისურაძე, 17,0 (სამივე — გარდ); ***სამხტომი:*** ტურიატკო — 14,69, ბექა დანელია (მარტვ) — 13,25; ***სიგრძე:*** 1. ილარიანი — 6,85, დავით პაპუაშვილი (ქარელი) — 6,09, დანელია — 5,99.

## საერთო გუნდური შედეგები (ქალები)

### I ჯგუფი

1. თბილისი 1 — 312. 2. გარდაბანი — 168. 3. ქუთაისი — 164. 4. აჭარა — 160. 5. ბორჯომი — 145. 6. ფოთი — 143. 7. ოზურგეთი — 58,5. 8. ახმეტა — 42. 9. ზუგდიდი — 27. 10. თბილისი 2 (უ/კ) — 159 ქ.

### II ჯგუფი

1. ახალციხე — 124. 2. მარტვილი — 78,5. 3. ვანი — 71. 4. საგარეჯო — 46. 5. ხონი — 38. 6. მცხეთა — 24, 7. დუშეთი — 20, 8. ქარელი — 26. 9. ყაზბეგი — 12. 10. ხაშური — 10.

საუკეთესო შედეგები: რ. რუსიძე 100 მ — 10,2, ბ. ბადრიძე 200 მ — 21,2, დ. ილარიანი 110 მ — 14,0, ს. ტურიატკო 400 მ თარჯი — 53,8.

**საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია**

## მილოცვები

„ლელოს" რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ღვაწლმოსილ ვეტერან სპორტულ მუშაკს ***მიხეილ ტურაბელიძეს.***

* * *

„ლელო" დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ვეტერან ძიუდოისტს, მსოფლიო ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს ***ამირან ტოტიკაშვილს.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



# მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

დარაბეგოვების ოჯახში შეკედლებულმა მზიამ, მეოთხე კლასი გურჯაანში დაამთავრა. თბილისში ამის შემდეგ ჩამოიყვანეს ბებიასთან და ბაბუასთან, პასტერის ქუჩაზე იქვე ახლოს იყო რკინიგზის მე-6 სკოლა. ახალი სასწავლო წლიდან, მზიამ უკვე სწავლა ამ სკოლაში განაგრძო V კლასში.

ფიზკულტურის მასწავლებელ ოთარ ახობაძეს ადრეც სმენოდა, რომ მზია ტანვარჯიშით იყო გატაცებული და ყველაფერი ილონა ხელი შეეწყო მოზარდისთვის. სკოლაში არ ჰქონდათ დასტატების პირობები, ამიტომ გოგონას მოკიდა ხელი და იმავე უბანში, „პიშევიკის" ცნობილ დარბაზში მიიყვანა არჩილ ბაქრაძესთან.

„ძალიან თბილად შემხვდნენ, არჩილ ბაქრაძემ თავად ამიყვანა შეგირდად. ხშირად მოდიოდა დარბაზში გიორგი მერკვილაძე. ეს საოცარი პიროვნება მართლაც თან მყვებოდა. იმავე წელს გავხდი საქართველოს ჩეპიონი თანატოლებში მრავალჭიდში".

ახლოვდებოდა 1939 წლის მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოსკოვში. გულდასმით შეირჩა საქართველოს ნაკრები. მზიას კანდიდატურას მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა. საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა და მწვრთნელებისგან შეგულიანებულმა გოგონამ, ამჯერადაც თავდაჯერებულად იასპარეზა – ორძელზე ყველას აჯობა და რგოლებშიც, მესამე პრიზიორი გახდა საერთო ჩათვლაში.

ჩვენმა მწვრთნელებმა მაშინ ცნობილი რუსი სპეციალისტების მილოცვებიც მიიღეს. ისინი ხმამაღლა უწინასწარმეტყველებდნენ მზიას დიდ მომავალს, ქართველ კოლეგებს ტალანტის აღმოჩენას ულოცავდნენ.

მოსკოვში გამართული ამ ასპარეზობის შემდეგ, ჩვენმა მწვრთნელებმა, გიორგი მერკივლაძის მოთხოვნით, მზიას დასტატების ინდივიდუალური გეგმა შეიმუშავეს.

„ახლა უკვე მოსწავლეთა მომავალი წლის პირველობისთვის დავიწყეთ მზადება. შეჯიბრება ლენინგრადში იყო დაგეგმილი. როგორც ჩანს, ჩემმა მწვრთნელებმა ჩათვალეს, რომ მზად ვიყავი უფროსთა შორის, ქალიშვილების პროგრამით ასპარეზობისათვის და რაკი ასაკი ხელს არ მიწყობდა, დაბადების მოწმობა გადამიკეთეს – ერთი წელი მომიმატეს. ცხადია, თანხმობას მე არავინ მკითხავდა. ლენინგრადში ორძელზე და ბჯენით ხტომებში დავიკავე პირველი ადგილი, საერთო ჩათვლაში კი მეორე ვიყავი. წარჩინებული გამოსვლისთვის ლერმონტოვის წიგნით დამაჯილდოვეს. მაშინ მოდაში იყო გამორჩეული მოსწავლე სპორტსმენების კლასიკოსთა ნაწარმოებებით წახალისება".

საქართველოს დელეგაცია თბილისში მოსკოვის გავლით გამოემგზავრა ლენინგრადიდან. ბავშვთა სპორტის მაშინდელი მესვეურები, განსაკუთრებით მათი თავკაცი გიორგი მერკვილაძე, შეძრული იყო მზიას ოჯახის ტრაგიკული ბედით. მუდამ ფიქრობდა რაიმე ელონა, როგორმე მიეკვლია მზიას მშობლების სამყოფელისთვის.

ლენინგრად-მოსკოვის მატარებლის კარჩაკეტილ კუპეში ორი მამაკაცი ხმადაბლა საუბრობდა. ერთი გიორგი მერკვილაძე იყო, მეორე – არჩილ ბაქრაძე.

– ჩემო არჩილ, – ეუბნება გიორგი. აი ახლა, ჩავალთ მოსკოვში და ორი დღე იქ უნდა დავრჩეთ. გამოვიყენოთ ეს დრო და იქნებ მზიას დედის ამბავი მაინც გავარკვიოთ.

საუბარი აღარ გაუგრძელებიათ.

„მე არაფერი ვიცოდი. გოგიმ და არჩილმა სასტუმროში განცხადება დამაწერინეს და პუშკინის ქუჩაზე მივაკითხეთ საბჭოთა კავშირის პროკურატურას. განცხადებაში ქვეყნის პროკურორთან ვთხოვდი შეხვედრას. თუ რისთვის, არ ჩამაწერინეს.

კომენდატურის სარკმელთან არჩილ ბაქრაძე მივიდა და ჩემი განცხადება გადასცა. გოგი და მე მისაღებ ოთახში ვიდექით, ვატყობდი გოგი ნერვიულობდა.

ცოტა ხანში არჩილი გამობრუნდა.

– რაო, – მიაგება გიორგი მერკვილაძემ.

– კომენდატმა ჩაიკითხა თუ არა განცხადება, ირონიულად ჩაიღიმა. არაფერი გამოვა – თქვა არჩილმა.

უეცრად არჩილი შეტრიალდა და ისევ სარკმელთან მიიჭრა. კომენდანტს უკვე ხმამაღლა ეუბნება:

– ეგ "პრავდა" დღევანდელია ხომ! გადაშალეთ და ნახეთ, პროკურორთან იმ გოგონას უნდა შეხვედრა, სურათზე გაზეთში რომ არისო.

„ეტყობა კომენდატმა ნახა სურათი, რომელზედაც ჩემთან ერთად არჩილიც იყო აღბეჭდილი, ორძელთან დაზღვევაზე მდგარი. ეს



ასე იწყებოდა მზია ჯუღელის გზა ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკისაკენ

იყო და, კომენდატმა უმალვე ვიღაც კაცი გამოიძახა. ის კაცი გამიძღვა პროკურორთან.

უკვე დარიგებული ვყავდი ჩვენებს რა და როგორ მეთქვა. შევდივარ ვრცელ კაბინეტში. პროკურორი ღიმილით მეგებება. მესაუბრება სპორტზე, ჩემს წარმატებაზე. მერე სიტყვა მშობლებზე თავად ჩამომიგდო. მკითხა, როდის დააპატიმრესო. მეუბნება: მამა დახურულ ბანაკშია, დედა ღია ბანაკში, მისამართს მოგცემთო. მომცეს. ეტყობა, დედასაც მიმოწერის ნება პროკურორთან ჩემი მისვლის შემდეგ დართეს.

პირველმა, რა თქმა უნდა, წერილი მე გავუგზავნე დედას. ახლაც მახსოვს მისამართი: ვოლოგოდსკის ოლქი, სტანცია შექსნა, სოფ. ნიკოლსკი, ბანაკი. რამდენიმე ხანში წერილს უკვე დედისგანაც ვიღებ, მერე სისტემატურად ვწერდით ერთმანეთს ვიდრე დაბრუნდებოდა".

ეს მოხდა 1945 წელს. მაგრამ მანამდე კიდევ რამდენიმე მძიმე წლები იყო მზიას ცხოვრებაში.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო" №40-41, 43-45*

*გაგრძელება იქნება*

# „ლეიკერსის" ეპოქა გრძელდება




**მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო – მეორე წელია ზედიზედ „ლეიკერსი" ხდება პლანეტის საუკეთესო გუნდი.**

**«ფილადელფია» – «ლეიკერსი» 96:108**

აივერსონი (37), ჰილი (18+13 მოხსნა), მუტომბო (13+11 მოხსნა), სნოუ (13+12 გადაცემა) – ონილი (29+13 მოხსნა), ბრაიანტი (26+12 მოხსნა), ფოქსი (20), ფიშერი (18).

ფინალური სერიის დაწყების წინ კალათბურთის მოყვარულთა 99% დარწმუნებული იყო „ლეიკერსის" გამარჯვებაში და, მართლაც, ლოს-ანჯელესის კალათბურთელებმა არ გააწბილეს მაყურებელთა იმედები.

მეხუთე შეხვედრაში, ისევე როგორც მთლიანად სერიაში, „ლეიკერსის" უპირატესობა აშკარა იყო. შეხვედრის დასაწყისში წინ გავიდა „ფილადელფია" 10:3, მაგრამ შემდეგ ამოქმედა „მძიმე არტილერია" –შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი და ყველაფერი დალაგდა. თანდათან „ლეიკერსმა" ხელთ იგდო უპირატესობა და შეხვედრა მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. ამ მატჩში თავი გამოიჩინა აგრეთვე ფიშერმა, რომლის ნატყორცნმა რვა სამქულიანიდან 6-მა მიაღწია მიზანს.

„ლეიკერსის" კალათბურთელებმა დაამყარეს რამდენიმე რეკორდი: პლეი-ოფის სერიის 16 შეხვედრიდან 15-ში მოიპოვა გამარჯვება. მათ პლეი-ოფის სერიაში სტუმრად ჩატარებულ ზედიზედ ცხრა შეხვედრაში მოიპოვეს გამარჯვება.

პლეი-ოფის ყველაზე ძვირფას მოთამაშედ დასახელდა შაკილ ონილი.

<u>პროფესიული კრივის სამყაროში</u>

# ჩემპიონები და რეიტინგი

მსოფლიო პროფესიული კრივის სამივე ორგანიზაციამ (WBA, WBC, IBF) გამოაქვეყნა ვერსიებით ჩემპიონები სუპერმძიმე წონაში და მოკრივეთა ათეულები რეიტინგების მიხედვით.

WBC: ჩემპიონია ხასიმ რახმანი. რეიტინგი: 1. მაიკ ტაისონი, 2. ლენოქს ლიუისი, 3. ვიტალი კლიჩკო, 4. კირკ ჯონსონი, 5. ლარი დონალდი, 6. ლანს უაიტეკერი, 7. დევიდ ტუა, 8. ფრენს ოკვენდო, 9. ჰენრი აკინვანდე, 10. ვონ ბინი.

WBA: ჩემპიონია ჯონ როუზი. 1. არაა დადგენილი, 2. კირკ ჯონსონი, 3. ევანდერ ჰოლიფილდი, 4. ლარი დონალდი, 5. ვიტალი კლიჩკო, 6. ლენოქს ლიუისი, 7. მაიკ ტაისონი, 8. ლანს უეტკერი, 9. ჰენრი აკინვანდე, 10. დევიდ ტუა.

IBF: ამ ვერსიითაც ჩემპიონია ხასიმ რახმანი. 1. მაიკ ტაისონი, 2. ლენოქს ლიუისი, 3. ვიტალი კლიჩკო, 4. კირკ ჯონსონი, 5. ლარი დონალდი, 6. ლანს უეტეკერი, 7. დევიდ ტუა, 8. ფრეს ოკვენდო, 9. ჰენრი აკინვანდე, 10. ვონ ბინი.

# პეტერსენი – „ლუქსემბურგის ტურის" გამარჯვებული

დანიელი ველომრბოლელი იორგენ პეტერსენი გახდა მრავალდღიანი ველორბოლის „ლუქსემბურგის ტურის" გამარჯვებული. ბოლო მე-5 ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა ***ფაბიო ბალდატომ.***

საერთო ჩათვლა:

1. იორგენ პეტერსენი (დანია) — 61:37,04
2. ბორის ბელოხვოსტიკი (ლატვია) — ჩამორჩენა 0,12
3. ფრედ როდრიგესი (აშშ) — ჩამორჩენა 0,35
4. ბენუა იოახიმი (ლუქსემბურგი) — ჩამორჩენა 0,51
5. ივაილო გაბროვსკი (ბულგარეთი) — ჩამორჩენა 0,55



*ფაბიო ბალდატო*

**ნიურნბერგში** მიმდინარე მძლეოსანთა დიდ საერთაშორისო ტურნირში რუსეთელმა ოლგა კუზნეცოვამ კვლავ ფენომენური შედეგი აჩვენა უროს ტყორცნაში — 70,45 მ.

საფრანგეთში მიმდინარე ასევე დიდ საერთაშორისო ტურნირში ტატიანა ლებედევა უძლიერესი იყო სამხტომში, სვეტლანა გონჩარენკო — 200 მ-ზე რბენაში, ვიაჩესლავ ვორონინი — სიმაღლეზე ხტომაში.



*ოლგა კუზნეცოვა*




*სვეტლანა გონჩარენკო*

დღეიდან გაზეთი „ლელო" შეგიძლიათ მოიკითხოთ „მაცნეს" ნებისმიერ ჯიხურში.

INTERTOTO CUP

# ინტერტოტოს თასი

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 16 ივნისი.**

## «ვიტ ჯორჯია» (საქართველო) — «რიდი» (ავსტრია) 1-0

პირველი მატჩი

**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, საჯაია, თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, ლაშა ნოზაძე, გოგობერიშვილი, დილმელაშვილი, გ. ყიფიანი (არეშიძე 46), ლ. მელქაძე (ინწკირველი 79), ზ. მეტრეველი (ადამია 46).
**რიდი:** ორაზი, ფეიშტინგერი (ჰ. ფორსტერი 60), ნენტვიჩი, იანკი, ორტლენფნერი (ლაიმერი 60), როტბაუერი, ანგერსშმიდი (ვინკელბანერი 76), გლასნერი, აკაგიუნდუზი, დრეჩსელი, ლაუერსი.
***გოლი:*** 1-0 გოგობერიშვილი (51).
***გააფრთხილეს:*** ფორსტერი (68), ნენტვიჩი (74).
***გააძევეს:*** საჯაია (10)
***მსაჯი:*** ა. იოში (უნგრეთი).



„ვიტ-ჯორჯია" – „რიდი"

## მიიწვიეთ სერგო ნაკრებში!

ძველი სეზონი ხეირიანად არც იყო დასრულებული, ახალი რომ დაიწყო. ევროპული სეზონი „ვიტ ჯორჯიამ" გახსნა. გულშემატკივარი იმედით ცოცხლობს, გამონაკლისი არც ქართველი ქომაგია. ჩვენც გარკვეული ცნობისმოყვარეობით და ოპტიმიზმით ველოდით შაბათის მატჩს. საბედნიეროდ, მოლოდინი გამართლდა, „ვიტ-ჯორჯიამ" მოიგო. ესეც ნიშანდობლივია, თბილისის „ლოკომოტივის" „ლინფილდთან" გამარჯვების შემდეგ, ქართულ კლუბებს ევროტურნირებში აღარ მოუგიათ ეროვნულზე.

„რიდმა" მოურიდებლად შემოგვიტია. ათი წუთიც არ იყო გასული და „ვიტ ჯორჯია" ათი კაცით დარჩა მინდორზე. „ბოლო იმედის" ჯარიმისთვის უნგრელმა მსაჯმა უყოყმანოდ გააძევა საჯაია. სახიფათო საჯარიმო დარტყმა ქურაძემ მოიგერია და იმ წუთიდან დაიწყო ავსტრიელი თურქის აკაგიუნდუზისა და თბილისელთა მეკარის ორთაბრძოლა. თურქი სტუმართა გუნდში ყველაზე აქტიური იყო და არაერთხელ შეეძლო მასპინძელთა გამწარება, მაგრამ მის ყოველ შეტევას ოსტატურად იგერიებდა თბილისელთა მეკარე, მან სულ ცოტა ხუთ ეპიზოდში ნამდვილად იხსნა საკუთარი კარი, რითაც თანაგუნდელები ზურგის სიმაგრეში დაარწმუნა და შეტევაში გადასვლის საშუალება მისცა. უმცირესობაში დარჩენილი მასპინძლები არ დაიბნენ, იქით შეუტიეს მეტოქეს, თუმცა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

თამაში ტურნირის დონის შესაფერისი გამოდგა. ავსტრიულმა კლუბმა ვერაფრით მოგვხიბლა და გაგვაკვირვა, არც მასპინძლები ბრწყინავდნენ, თუმცა მონდომება მათ თამაშში ნამდვილად იგრძნობოდა. ერთფეროვან მატჩს გამორჩეული ფეხბურთელები მაინც ჰყავდა. ჩვენი მეკარე სტუმართა ის თავდამსხმელი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. სერგო გუნდში მართლაც საუკეთესო იყო. პრესლოჟაში მსხდომთა უმრავლესობა თითქმის ერთხმად ალაპარაკდა — „ეგ არის და ნაკრებში მეკარის პრობლემა გადაწყდაო, გვყოლია თურმე ქართველებს მეკარე, მიიწვიონ სერგო ნაკრებშიო". ამ სიტყვებში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. უბრალოდ, მეტი ძიება, სერიოზული მუშაობაა საჭირო. ნიჭიერი ფეხბურთელი არასოდეს დაჰკლებია საქართველოს.

მეორე ტაიმი ილბლიანად დაიწყო მასპინძლებისთვის. 51-ე წუთზე გოგიბერიშვილმა დიდებულად დაარტყა საჯარიმო. „ვიტ ჯორჯია" დაწინაურდა. ერთბურთიანი უპირატესობა თბილისელებმა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს, თუმცა მეტის მიღწევაც შეეძლოთ. მუჯირმა მასპინძელთა ყველაზე ნაღდი საგოლე მომენტი ქარს გაატანა. ავსტრიელებმა ქართველების დასჯა ვერ მოახერხეს, ბოლოს მათი ყველაზე სახიფათო თურქი ფორვარდიც გადაიღალა. „ვიტ ჯორჯიამ" კი, ევროპულ ტურნირში პირველ გამარჯვებას მიაღწია. ერთ კვირაში რიდში მძიმე მატჩი ელის კარნევალის შეგირდებს. მიღწეულს შენარჩუნება უნდა. „რიდის" დამარცხება ავსტრიაშიც შეიძლება.

**საბა ლომინაძე**

INTERTOTO CUP

## პირველი რაუნდი

ტატაბანია (უნგრეთი) — შირაქი (სომხეთი) 2-3
ორჰუსი (დანია) — პუბლიკუმი (სლოვენია) 1-0
დანდი (შოტლანდია) — სარტიდი (იუგოსლავია) 0-0
ანართოსისი (კვიპროსი) — სლავენი (ხორვატია) 0-2
კარმარტენი (უელსი) — აიკ (შვედ.) 0-0
დინამო (ბელარუსი) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) 6-0
კორკ სიტი (ირლანდია) — მეტალურგსი (ლატვია) 0-1
უნივერსიტატია (რუმინეთი) — ბიულისი (ალბანეთი) 3-3
სანტ ჰულია (ანდორა) — ლოზანა (შვეიცარია) 1-3
ტოფტირი (ფარერები) — ლოკერენი (ბელგია) 2-4
ეკრანასი (ლიტვა) — პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 1-1
ჰაპოელი (ისრაელი) — ტალინი (ესტონეთი) 2-0
ჯაზი (ფინ.) — გლორია (რუმინ.) 1-0
ტილიგული (მოლდოვა) — კლიფტონვილი (ჩრ. ირლადნია) 1-0
გროცლინი (პოლონეთი) — სპარტა (ბულგარეთი) 1-0
ზაგლებე (პოლონეთი) — ჰიბერნიანსი (მალტა) 4-0
გრინდავიკი (ისლანდია) — ვილაში (აზერბაიჯანი) 1-0
ზაგრები (ხორვატია) — პობედა (მაკედონია) 1-2
ჩელიკი (ბოსნია) — დენიზლი (თურქეთი) 1-0

## ინტერტოტოდან ჩემპიონთა ლიგამდე

წლეულს, ევროტურნირი ქართული კლუბებიდან პირველმა „ვიტ-ჯორჯიამ" დააჭაშნიკა. დანარჩენი სამი კლუბი მეტოქეთა მოლოდინშია. ცდა დიდხანს არ მოგვიწევს, მათ ვინაობას 22 ივნისს შევიტყობთ. სამივე გუნდი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება ტურნირებში. **ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს ქუთაისის „ტორპედო", უეფას თასზე თბილისური გუნდები — „ლოკომოტივი" და „დინამო".**

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი 11-18 ივლისს ჩატარდება, მეორე — 25 ივლისსა და 1 აგვისტოს, მესამე — 7-8 აგვისტოსა და 21-22 აგვისტოს, ჯგუფური ეტაპი 11 სექტემბერს დაიწყება და 31 ოქტომბერს დასრულდება. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 9-23 აგვისტოს გაიმართება, პირველი ეტაპისა — 3-27 სექტემბერს.

## ეროვნულ ნაკრებს დროებით ალექსანდრე ჩივაძე უთავკაცებს?

შესარჩევ ციკლში წარუმატებლობამ, ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელთა დუეტის შეცვლა გამოიწვია. სფფ-ს თავკაცობა ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატთა შერჩევას შეუდგა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განმარტებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უპირველესი კანდიდატი სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძეა.

– „როდესაც განვაცხადე სფფ საკუთარი ძალებით გამოასწორებს ნაკრებში არსებულ ვითარებას, უპირველესად ალექსანდრე ჩივაძის ნაკრების მწვრთნელობა ვიგულისხმე, მიუხედავად მისი ამ საკითხისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა, ჩივაძემ თანხმობა უნდა განაცხადოს, რადგან ვთვლი, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ქართულ ფეხბურთში არსებული ყველა პრობლემა, თუ საორგანიზაციო საკითხი, ერთად უნდა გადავჭრათ და მოვაგვაროთ.

ივლისში არგენტინაში ფიფას კონგრესზე მივემგზავრებით, იქ ყველას შევხვდებით, ვინც ნაკრების მწვრთნელის შერჩევაში გარკვეულ კონსულტაციას გაგვიწევს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია და ნაუცბადევი გადაწყვეტილების მიღება არ გვსურს. ორიენტირი უცხოელ მწვრთნელზე გვაქვს აღებული. სერიოზული ევროპელი სპეციალისტის მოწვევას ვაპირებთ. საბოლოო გადაწყვეტილებას, ან არგენტინიდან დაბრუნების, ან ზამთარში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის 1 დეკემბრის კენჭისყრის შემდეგ მივიღებთ, მაშინ ზუსტად გვეცოდინება ჩვენი ფინანსური შესაძლებლობა და მეტოქეებიც, რომლის მიხედვით მწვრთნელსაც შევარჩევთ".

ალექსანდრე ჩივაძე თანხმობის შემთხვევაში ნაკრებს ალბათ, დროებით, შესარჩევი ციკლის ბოლომდე ჩაიბარებს. მას ეროვნულ გუნდთან მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება აქვს. ჩივაძე ნაკრებს 1993-96 წლებში წვრთნიდა.

ჩივაძის საფეხბურთო კვალიფიკაციაში დაეჭვება უადგილოა, იქნებ უკეთესიც იყოს ავტორიტეტული სპეციალისტის, თუნდაც დროებით ნაკრებში მოწვევა, რომელმაც კარგად იცის თითოეული ფეხბურთელის ავან-ჩავანი, რაც ნაკრებში ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## ქართველი მსაჯები დღეობას ზეიმობენ

**მსაჯის დღე საქართველოში 1999 წლიდან აღინიშნება. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თაოსნობას, ფედერაციის მესვეურებმაც დაუჭირეს მხარი და ეს დღე ტრადიციად დამკვიდრდა. დღეს, 19 ივნისს, 16 საათზე „შევარდენის" სტადიონზე საზეიმო დღის დასკვნითი ღონისძიება გაიმართება. დასწრება თავისუფალია, გულშემატკივრების მიერ საფეხბურთო თემაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ მსაჯები. გაიმართება მატჩიც. მსაჯთა ნაკრები ჟურნალისტთა ნაკრებს შეხვდება. თამაშს ოთარ გუნთაძე გაუძღვება. სადღესასწაულო საქმიანობა რამდენიმე დღით ადრე რეგიონებში დაიწყო, ჩამოყალიბდა დასავლეთ (მწვრთნელი ადიკ დურსუნიში) და აღმოსავლეთ საქართველოს (მწვრთნელი ბადრი ქარქაშაძე) მსაჯთა ნაკრებები, ისინი გაერთიანებული ძალებით ჟურნალისტებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.**

**ასე რომ, გიწვევთ „შევარდენზე" ქართველ არბიტრთა დღესასწაულზე.**

## ბავშვთა ლიგა



**XI ტური**

კოლხეთი — ლოკომოტივი 1-3
მთვარის გლობუსი — დინამო 0-0
ტონთიო — კახეთი 2-0
ლაზიკა — ვაკე 91 2-2
ხალიბი — შევარდენი 1906 3-5
შევარდენი — ავაზა 3-0

**III ტურის გადატანილი მატჩი**

დინამო (ბთ) — ხალიბი 1-1

**I წრის შემდეგ**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 11 | 6 | 4 | 1 | 12-9 | 22 |
| შევარდ. 1906 | 11 | 6 | 3 | 2 | 30-15 | 21 |
| ლოკომოტივი | 11 | 6 | 3 | 2 | 12-11 | 21 |
| ვაკე-91 | 11 | 6 | 1 | 4 | 17-16 | 19 |
| ხალიბი | 11 | 5 | 3 | 3 | 21-13 | 18 |
| შევარდ. (ქუთ.) | 11 | 5 | 3 | 3 | 13-9 | 18 |
| მთ. გლობუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-10 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 14 |
| ავაზა | 11 | 3 | 3 | 5 | 12-14 | 12 |
| კახეთი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-20 | 10 |
| ტონთიო | 11 | 3 | 0 | 8 | 17-22 | 9 |
| ლაზიკა | 11 | 1 | 2 | 8 | 13-31 | 5 |

## სტაუჩემ დასტოვა „დუისბურგი"

ლიტვის ნაკრების გოლკიპერმა გინტარას სტაუჩემ, დატოვა გერმანიის მეორე ბუნდელიგას კლუბი „დუისბურგი" და ახლა ახალ გუნდს ეძებს.

„დუისბურგში" იგი 4 ბოლო სეზონის განმავლობაში თამაშობდა, მანამდე კი თურქეთში გამოდიოდა.

## ნიდერჰაუსი „რიგში ჩადგა"

ვოლგოგრადის „როტორის" ყოფილი თავდამსხმელი ვლადიმირ ნიდერჰაუსი, რომელიც, როგორც გერმანელი, ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადში გაატარა, როგორც მოქმედი ფეხბურთელი თავისუფალი ტრანსფერით.

გერმანიის პირველი და მეორე ბუნდესლიგების კლუბები ახალი სეზონისათვის მზადებას 20 ივნისის შემდეგ იწყებენ და სწორედ მაშინ გამოირკვევა, რომელ გუნდში ითამაშებს იგი.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ზიდანმა უარი უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედს"



2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა უარი განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე და თქვა, რომ მისთვის გაცილებით უფრო შესაფერისია ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატები, ვიდრე ინგლისის პრემიერ-ლიგა.

— არ ვაპირებ „იუვენტუსის" მიტოვებას, თუმცა არასოდეს მითქვამს, რომ არ შემიძლია სხვა კლუბში თამაში. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", იქ არასოდეს ვითამაშებ.

მიმომხილველთა აზრით, არის ორი მიზეზი, რის გამოც ზიდანი ფერგიუსონის კლუბში გადასვლას არ აპირებს. პირველი — მის ესპანელ ცოლს სურს, „ზიზუმ" ესპანურ კლუბში ითამაშოს. მეორე — შარშან შემოდგომაზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა გარი ნევილმა უარყოფითი აზრი გამოთქვა საფრანგეთის ნაკრების ლიდერზე: „ეგ გამოტვინებულიღა გვაკლდა . და აი, „გამოტვინებულს" არ სურს გარი ნევილთან კლუბში თამაში.

# ბავშვთა ფეხბურთი

## „შევარდენს“ ფრთაღონიერი „მართვეები“ ჰყავს



ისან-სამგორის რაიონის სპორტკლუბ „ედელვეისის“ სტადიონმა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საფეხბურთო ტურნირს უმასპინძლა. ტურნირში მონაწილეობდა 1990-91 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა 12 გუნდი ორ ჯგუფად. ნახევარფინალები ასე დამთავრდა: „შევარდენი“-1 — „XXI საუკუნე“ — 5-2; „შევარდენი“-2 — „ვაზისუბანი“ 4-1.

თანაკლუბელთა ფინალში პენალტებით „შევარდენი“-1 გამოვიდა გამარჯვებული — 4-3 (მწვრთნელი რეზო წერეთელი). მესამე ადგილზე გავიდა „ვაზისუბანი“ (მწვრთნელები ამირან ღიბრაძე და სერგო კამბეგაშვილი); „XXI საუკუნის“ მწვრთნელია გივი ბუაძე.

პერსპექტიულ გუნდად დასახელდა „ვაზისუბნის“ ფილიალის 1991-92 წლებში დაბადებულთა გუნდი „ირაო“ (მწვრთნელი თენგიზ კიკაჩეიშვილი), რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი. ასაკით ამ ყველაზე უმცროსმა გუნდმა, მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა. საუკეთესო მეკარის პრიზი წილად ხვდა ბექა იმნაძეს („XXI საუკუნე“), საუკეთესო მცველისა — ჯემალ ხიზანიშვილს („ირაო“), საუკეთესო ნახევარმცველისა — ლექო ტუგულიშვილს („ვაზისუბანი“), საუკეთესო თავდამსხმელისა — გიორგი მინდაძეს („XXI საუკუნე“), საუკეთესო ფეხბურთელისა — გუგა კიკნაძეს („შევარდენი“). დაჯილდოვდნენ აგრეთვე პერსპექტიული ფეხბურთელები ნოდარ ჯალაღონია, გიორგი თოდრია და სხვ.

შევარდნელთა წარმატებაში დიდია სკოლის დირექტორის ბადრი მანწკავას და კლუბის პრეზიდენტ მალხაზ გუგავას წვლილი.

**სურათზე: I და II ადგილებზე გასული „შევარდენი“-1 და „შევარდენი“-2.**

**მარცხნიდან (სხედან): არკადი საფაროვი, ვოვა პერვიაკოვი, ნიკა ბოსტაშვილი, სოსო ლამბაშიძე, უჩა გოგოლაძე, გიორგი ოთარაშვილი, გიორგი თოდრია, ნოდარ ჯალაღონია, ლექსო ლომიძე, ლაშა ბერიძე.**

**დგანან: გუგა კიკნაძე, მალხაზ ხურცილავა, გიორგი გეთიაშვილი, დავით ქაჯაია, თორნიკე მინდიაშვილი, დათო მენაფირე, გიგა ანდრიაძე, მიშიკო ბაბიკიანი, რევაზ წერეთელი (მწვრთნელი), გიორგი მამუჩიშვილი, ბადრი ტეტუნაშვილი, დათო ჯაფარიძე, სერგო ამბროიანი, დათო ბოლქვაძე, ნიკა ნიკოლაშვილი, ირაკლი ღალანიძე, ზვიად აზარიაშვილი, ბექა ენუქიძე.**

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

## „XXI საუკუნის“ კიდევ ერთი გამარჯვება

1988 წლიანთა ეს ტურნირი „სიხარულის“ სტადიონის გახსნის 30 წლისთავს მიეძღვნა და მასში ორ ჯგუფად 12 გუნდი მონაწილეობდა: „XXI საუკუნე“-1, „XXI საუკუნე“-2, „მერანი“, „მთვარის გლობუსი“, „იბერია“, „ივერია“, „მთაწმინდა“, „მიმინო“, „ქობულეთი“, „სიხარული“-1, „სიხარული“-2 და „ბერმუხა“.

„XXI საუკუნე“-1 (მწვრთნელი გიორგი ბუაძე) ნახევარფინალში შეხვდა „სიხარული“-1-ს (მწვრთნელი შუქრი ჭუმბურიძე). ძირითადი დრო ფრედ 0-0 დამთავრდა. 5-4 პენალტებით გაიმარჯვა „XXI საუკუნემ“. მეორე ნახევარფინალში „XXI საუკუნე“-2 (მწვრთნელი ნოდარ ლეჟავა) და „მიმინო“ (მწვრთნელი გოჩა ფეიქრიშვილი) შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა „მიმინომ“ – 2-1. მესამე ადგილისთვის მატჩში „XXI საუკუნე“-2 – „სიხარული“-1-ის მატჩი ამ უკანასკნელმა მოიგო – 1-2; ფინალში „XXI საუკუნე“-1-მა აჯობა „მიმინოს“.



ლაშა გურგენიძე, გიორგი გრიგალაშვილი, ლერი ჩართოლანი, ენრი სარაჯიანი, ანა ბუაძე (გუნდის თილისმა), გიორგი მინდაძე, გიორგი ჯაკობია, შერმანდინ დვალიშვილი, ლაშა ნაქაძე; მეორე რიგში: ლაშა კალავიშვილი, გურამ სოლოლაშვილი, დათო ბროევი, გიორგი სახიშვილი, ნიკა რუსო;

დგანან: ვახო ოქროპირიძე, მწვრთნელი გიორგი ბუაძე, მინდია გოგიაშვილი, ბექა ცუცქირიძე, ლევან სუხიშვილი, ბესო იმერლიშვილი, გუნდის უფროსი გივი ბუაძე, გაგა პაიკიძე სერგო მურადოვი, ჯემალ ომიაძე, მიშიკო ავალიანი, ზურა ჩახვაშვილი.

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*



«ირაო» III ადგილი




«მიმინო». II ადგილი

## ყოჩაღ «XXI საუკუნევ!»




ჩატარდა საფეხბურთო კლუბ „იბერიასადმი“ მიძღვნილი ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობდა 1989 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა 10 გუნდი ორ ქვეჯგუფად. პირველობა მოიპოვა საფეხბურთო კლუბ „XXI საუკუნეს“ აღსაზრდელებმა (მწვრთნელები გიორგი ბუაძე, გუნდის უფროსი გივი ბუაძე, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი იმერლიშვილი). მეორე ადგილზე გავიდა „XXI საუკუნე“-2 (მწვრთნელი ნოდარ ლეჟავა). მესამე ადგილზეა „იბერია“ (მწვრთნელი ვოვა ხაჩატურიანი).

*სურათზე: „XXI საუკუნე“. მარცხნიდან. სხედან: გიორგი გრიგალაშვილი, სერგო მურადოვი, გაგა პაიკიძე, ნოდარ იმერლიშვილი, გიორგი მინდაძე, გიორგი ჯაკობია, შერმადინ დვალიშვილი. დგანან: ლაშა კალავიშვილი, გურამ სოლოლაშვილი, ზურა ჩახვაშვილი, გუნდის მწვრთნელი გიორგი ბუაძე, მინდია გოგიაშვილი, გუნდის უფროსი გივი ბუაძე, ნიკა რუსო, აჩიკო ხუნდაძე, გიორგი სახიშვილი.*




«სიხარული»-I. III ადგილი

დღეიდან გაზეთი „ლელო“ შეგიძლიათ მოიკითხოთ „მაცნეს“ ნებისმიერ ჯიხურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### კონკაკაფის ზონა

**მექსიკა — კოსტა რიკა 1-2**

1-0 აბუნდისი (7), 1-1 ფონსეკა (73), 1-2 მედფორდი (87).

**იამაიკა — აშშ 0-0**

**ტრინიდადი და ტობაგო — ჰონდურასი 2-4**

0-1 პავონი (13 პენ), 0-2 ტურჩიოსი (20), 0-3 მორალესი (54), 0-4 ლეტეპი (56), 1-4 გევერა (86 პენ), 2-4 ჯონი (90).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| კოსტა რიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| ჰონდურასი | 4 | 1 | 2 | 1 | 8-7 | 5 |
| იამაიკა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-5 | 5 |
| მექსიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 4 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 4 | 0 | 1 | 3 | 3-9 | 1 |


მექსიკა — კოსტა-რიკა


იამაიკა — აშშ

## 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

FIFA WORLD YOUTH CHAMPIONSHIP ARGENTINA 2001

არგენტინის ექვს ქალაქში სტარტი აიღო ახალგაზრდული (20 წლამდე) ასაკის ფეხბურთელთა მე-13 მსოფლიო ჩემპიონატმა. გუნდები დაყოფილი არიან ექვს ჯგუფად, შემდეგ ეტაპზე გადის ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასული ნაკრებები და ამას დაემატება 4 საუკეთესო შედეგის მქონე მესამე ადგილზე გასული ნაკრები.

ჩემპიონატის თილისმაა სირაქლემა ზედმეტ სახელად „ნანდუ". გაგაცნობთ თუ როგორ დაწყვილდნენ ნაკრებები ჯგუფებში:

**A ჯგუფი**

არგენტინა — ფინეთი 2-0

ეგვიპტე — იამაიკა 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ეგვიპტე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| იამაიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**B ჯგუფი**

ბრაზილია — გერმანია 2-0

ერაყი — კანადა 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**C ჯგუფი**

აშშ — ჩინეთი 0-1

ჩილე — უკრაინა 2-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |


არგენტინა — ფინეთი


ბრაზილია — გერმანია


ჩილე — უკრაინა

**D ჯგუფი** ჩეხეთი, ავსტრალია,იაპონია, ანგოლა.

**E ჯგუფი** ჰოლანდია, ეკვადორი, კოსტა რიკა, ეთიოპია.

**F ჯგუფი** საფრანგეთი, ირანი, პარაგვაი, განა.



## თერიმი — „მილანის" მწვრთნელი

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის დამთავრების შემდეგ არ იყო გასული სამი წუთიც, რომ დასახელდა „მილანის" ახალი მწვრთნელის ვინაობა. თურქი სპეციალისტი ფატიხ თერიმი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება ერთი თვის შემდეგ.

## ნედვედი — ჩეხეთის საუკეთესო ფეხბურთელი

ჩეხეთში ჟურნალისტებმა დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელი. მესამედ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩეხეთის „ოქროს ბურთი" მოიპოვა რომის „ლაციოს" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 101 ჟურნალისტმა.

1. პაველ ნედვედი („ლაციო") — 2633 ქულა
2. ტომაშ როსიცკი (ბორუსია) — 1845
3. იან კოლერი („ანდერლეხტი") — 1529
4. პაველ სრნიჩეკი („ბრეშა") — 1164
5. კარელ პობორსკი („ლაციო") — 1103
6. პატრიკ ბერგერი („ლივერპული") — 1046
7. ვლადიმირ შმიცერი („ლივერპული") — 799
8. პაველ კუკა („სლავია") — 411
9. რომან ტიცე („მიუნხენი") — 399
10. ტომას რეპკა („ფიორენტინა") — 394.


ნედვედი

## საუდის არაბეთის ნაკრებს მალდინი გაწვრთნის?

მრავალი მოარული ხმებისა და ჭორების შემდეგ, ჩეზარე მალდინიმ განაცხადა, რომ თანახმაა შეხვდეს საუდის არაბეთის ნაკრების ხელმძღვანელებს. შესაძლოა მალდინიმ ხელი მოაწეროს მრავალწლიან კონტრაქტს. ის ამ თანამდებობაზე შეცვლის იუგოსლაველ სპეციალისტს სლობოდან სანტრაჩს. საუდის არაბეთის ნაკრები აგრძელებს ბრძოლას 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.



## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### „რომა" იტალიის ჩემპიონი

**იტალიის ჩემპიონატი ტარდება 1898 წლიდან და ამ ხნის მანძილზე, „რომამ" მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. პირველად ეს 1942 წელს მოხდა, ხოლო მეორედ 1983 წელს.**


ტოტი (შავი მაისურით)

### იტალია

ბრეშა — ბარი 3-1
ფიორენტინა — ნაპოლი 1-2
ინტერი — ბოლონია 2-1
იუვენტუსი — ატალანტა 2-1
ლეჩე — ლაციო 2-1
რეჯინა — მილანი 2-1
რომა — პარმა 3-1
ვერონა — პერუჯა 2-1
უდინეზე — ვიჩენცა 2-3

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რომა** | **34** | **22** | **9** | **3** | **68-33** | **75** |
| იუვენტუსი | 34 | 21 | 10 | 3 | 61-27 | 73 |
| ლაციო | 34 | 21 | 6 | 7 | 65-36 | 69 |
| პარმა | 34 | 16 | 8 | 10 | 51-31 | 56 |
| ინტერი | 34 | 14 | 9 | 11 | 47-47 | 51 |
| მილანი | 34 | 12 | 13 | 9 | 56-46 | 49 |
| ატალანტა | 34 | 10 | 14 | 10 | 38-34 | 44 |
| ბრეშა | 34 | 10 | 14 | 10 | 44-42 | 44 |
| ფიორენტინა | 34 | 10 | 13 | 11 | 53-52 | 43 |
| ბოლონია | 34 | 11 | 10 | 13 | 49-53 | 43 |
| პერუჯა | 34 | 10 | 12 | 12 | 49-53 | 42 |
| უდინეზე | 34 | 11 | 5 | 18 | 49-59 | 38 |
| ლეჩე | 34 | 8 | 13 | 13 | 40-54 | 37 |
| რეჯინა | 34 | 10 | 7 | 17 | 32-49 | 37 |
| ვერონა | 34 | 10 | 7 | 17 | 40-59 | 37 |
| ვიჩენცა | 34 | 9 | 9 | 16 | 37-51 | 36 |
| ნაპოლი | 34 | 8 | 12 | 14 | 35-51 | 36 |
| ბარი | 34 | 5 | 5 | 24 | 31-68 | 20 |

### ესპანეთი

ნუმანსია — ალავესი 2-1
რასინგი — ბილბაო 3-0
ვილიარეალი — ესპანიოლი 4-0
ლას პალმასი — რაიო ვალეკანო 1-0
დეპორტივო — მალაგა 4-0
ბარსელონა — ვალენსია 3-2
რეალი — ვალიადოლიდი 2-1
მალიორკა — ოვიედო 4-2
სარაგოსა — სელტა 1-1
სოსიედადი — ოსასუნა 0-1


ბარსელონა — ვალენსია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | **38** | **24** | **8** | **6** | **81-40** | **80** |
| დეპორტივო | 38 | 22 | 7 | 9 | 73-44 | 73 |
| მალიორკა | 38 | 20 | 11 | 7 | 61-43 | 71 |
| ბარსელონა | 38 | 17 | 12 | 9 | 80-57 | 63 |
| ვალენსია | 38 | 18 | 9 | 11 | 55-34 | 63 |
| სელტა | 38 | 16 | 11 | 11 | 51-49 | 59 |
| ვილიარეალი | 38 | 16 | 9 | 13 | 58-52 | 57 |
| მალაგა | 38 | 16 | 8 | 14 | 60-61 | 56 |
| ესპანიოლი | 38 | 14 | 8 | 16 | 46-44 | 50 |
| ალავესი | 38 | 14 | 7 | 17 | 58-59 | 49 |
| ლას-პალმასი | 38 | 13 | 7 | 18 | 42-62 | 46 |
| რაიო ვალეკანო | 38 | 10 | 13 | 15 | 56-68 | 43 |
| ბილბაო | 38 | 11 | 10 | 17 | 44-60 | 43 |
| სოსიედადი | 38 | 11 | 10 | 17 | 52-68 | 43 |
| სარაგოსა | 38 | 9 | 15 | 14 | 54-57 | 42 |
| ვალიადოლიდი | 38 | 9 | 15 | 14 | 42-50 | 42 |
| ოსასუნა | 38 | 10 | 12 | 16 | 43-54 | 42 |
| ოვიედო | 38 | 11 | 8 | 19 | 51-67 | 41 |
| რასინგი | 38 | 10 | 9 | 19 | 48-62 | 39 |
| ნუმანსია | 38 | 10 | 9 | 19 | 40-64 | 39 |

### რუსეთი

ფაკელი — ცსკა 1-1
დინამო — სატურნი 2-0
კრილია სოვეტოვი — ტორპედო ზილი 2-1
ტორპედო — როსტსელმაში 2-1
ალანია — როტორი 3-1
ანჟი — სპარტაკი 1-2
ლოკომოტივი ჩერნომორეცი 4-0
ზენიტი — სოკოლი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია სოვეტ. | 13 | 8 | 2 | 3 | 16-6 | 26 |
| ტორპედო | 13 | 7 | 4 | 2 | 25-12 | 25 |
| სპარტაკი | 13 | 7 | 4 | 2 | 14-10 | 25 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-10 | 24 |
| სოკოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 18-16 | 24 |
| ცსკა | 13 | 5 | 4 | 4 | 13-12 | 19 |
| ზენიტი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-18 | 19 |
| დინამო | 13 | 4 | 5 | 4 | 16-13 | 17 |
| ანჟი | 13 | 4 | 5 | 4 | 10-9 | 17 |
| ალანია | 13 | 5 | 1 | 7 | 12-18 | 16 |
| როსტსელმაში | 13 | 4 | 2 | 7 | 10-14 | 14 |
| სატურნი | 13 | 3 | 4 | 6 | 11-11 | 13 |
| როტორი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-18 | 12 |
| ფაკელი | 13 | 3 | 3 | 7 | 11-15 | 12 |
| ტორპ.-ზილი | 13 | 3 | 3 | 7 | 10-16 | 12 |
| ჩერნომორეცი | 13 | 2 | 4 | 7 | 6-22 | 10 |

### ნორვეგია

რუსენბორგი — ლილესტრიომი 2-2
ბოდო გლიმიტი — სტრიომგოდსეტი 2-2
ბრინი — სოგნდალი 2-3
მოსი — ლინი 3-1
ტრომსიო — ოდ გრელანდი 0-3
ვიკინგი — ბრანი 0-2
მოლდე — სტაბეკი 1-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 11 | 8 | 2 | 1 | 32-12 | 26 |
| ვიკინგი | 11 | 8 | 2 | 1 | 24-11 | 26 |
| ბრანი | 11 | 6 | 2 | 3 | 29-17 | 20 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-11 | 20 |
| ლილესტრიომი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-17 | 20 |
| სტაბეკი | 11 | 6 | 1 | 4 | 17-20 | 19 |
| მოლდე | 11 | 5 | 2 | 4 | 23-19 | 17 |
| მოსი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-17 | 16 |
| სოგნდალი | 11 | 4 | 0 | 7 | 12-25 | 12 |
| სტრიომგოდ. | 11 | 2 | 4 | 5 | 16-26 | 10 |
| ტრომსო | 11 | 3 | 0 | 8 | 8-18 | 9 |
| ბრინი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-23 | 8 |
| ლინი | 11 | 1 | 4 | 6 | 13-19 | 7 |
| ბოდო გლიმიტი | 11 | 1 | 4 | 6 | 10-20 | 7 |

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი საქართველოს თასის 1996 წლის ფინალურ შეხვედრაში (დინამო თბ – დინამო ბთ 1-0)?***

ა) გ. დემეტრაძემ
ბ) კ. გოგიჩაიშვილმა
გ) გ. ინალიშვილმა

***2. ვინ იყო ყველაზე მეტი დროის განმავლობაში ფიფას პრეზიდენტი?***

ა) ჟიულ რიმე
ბ) სტენლი როუზი
გ) ჟოაო აველანჟი

***3. ვინ გახდა „ოქროს ბურთის" პირველი მფლობელი (1956 წ.)***

ა) ალფრედო დი სტეფანო
ბ) სტენლი მეტიუზი
გ) რაიმონ კოპა

***4. რომელი ქვეყნის ნაკრებს ეძახიან „ბაფანა-ბაფანას"?***

ა) იამაიკის
ბ) პარაგვაის
გ) სამხრეთ აფრიკის

***5. რომელი ფეხბურთელის ზედმეტსახელია „ვირუკელა".***

ა) ორტეგა
ბ) ასპრილია
გ) გასკოინი

**№45-ის პასუხები:**
1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-ა, 5-გ.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# როცა საქმე ცუდად არის, მშველელებიც ხომ არსებობენ




როცა იტალიაში რომელიმე კლუბი „იძირება“, მყისვე გაახსენდებათ ხოლმე, რომ არსებობს ასეთი სპეციალისტი, იუგოსლავიელი ვუიადინ ბოშკოვი. იყო უკვე სამი შემთხვევა, რომ თითქმის საბოლოოდ განწირულმა კლუბებმა უმძიმეს მომენტში მოუხმეს ბოშკოვს და სამჯერვე მან ამ გუნდებს „სერია A“-ში თამაშის უფლება შეუნარჩუნა.

პირველად ეს მოხდა 1994-95 წლების სეზონში, როცა ბოშკოვი უკანასკნელ მომენტში აღმოჩნდა „ნაპოლიში“ და რაღაცა მანქანებით იხსნა იგი, რომ იტყვიან, გავარდნისაგან.

1997-98 წლების სეზონში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ გენუის „სამპდორიას“ თითქოს ველარაფერი იხსნიდა. კლუბის პრეზიდენტმა ერნესტო მანტოვანომ გაიხსენა, რომ 1991 წელს სწორედ ბოშკოვის ხელმძღვანელობით მოიპოვა „სამპდორიამ“ ჩემპიონობა და მოუხმო მას. რას იტყვით? ბოშკოვმა ეს გამოასწორა მდგომარეობა, რომ გუნდი საპატიო მეცხრე ადგილზე გავიდა და ლამის ევრო-თასებზე მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

კიდევ ერთი შემთხვევა 1998-99 წლების სეზონში მოხდა. „პერუჯას“ პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა, XXI ტურის შემდეგ მოხსნა მწვრთნელი კასტანიერი და ბოშკოვი მიიწვია. ბოშკოვმა კვლავ ივაჟკაცა — „პერუჯა“ XIV ადგილზე გაიყვანა.

ახლა მრავალნაცადი სპეციალისტი იუგოსლავიელებს დაპირდა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფშიც გამოასწოროს მდგომარეობა.

## კოეფიციენტები და კლუბების რიცხვი

ფიფამ შორეული თადარიგი დაიჭირა: იმ კოეფიციენტების მიხედვით, რომელიც დღეისათვის ქვეყნებს აქვთ, განუსაზღვრა მათ ევრო-თასების 2002-3 წლების გათამაშებაში ევრო-თასების 2002-3 წლების გათამაშებაში მონაწილე კლუბების რაოდენობა.

1. ესპანეთი— კოეფიციენტი 65 210, კლუბების რაოდენობა — 7. 2. იტალია — 56 239 — 7. 3. ინგლისი — 51 288 — 7. 4. გერმანია — 48 632 — 6. 5. საფრანგეთი — 42 352 — 6. 6. ჰოლანდია — 30 249 — 6. 7. თურქეთი — 29 975 — 5. 8. საბერძნეთი — 28 366 — 5. 9. რუსეთი — 27 708 — 4. 10. პორტუგალია — 26 274 — 4,

## „თუ მწვრთნელს მუშაობა არ სურს, რა აზრი აქვს მის შეჩერებას“

ასეთი განცხადება გააკეთა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პიერ ბენუამ. „რაიმე გადადგომაზე ლაპარაკიც კი არა ყოფილა. ჩვენ, უბრალოდ, გავითვალისწინეთ ტროსეროს სურვილი“.

ლაპარაკია არგენტინელ ენცო ტროსეროზე, რომელიც აქამდე შვეიცარიის ნაკრებს წვთრნიდა. მან სამშობლოში დაბრუნება ისურვა, სადაც კლუბი „ინდეპენდიენტე“ უხმობს.

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მთავარ კანდიდატებად ითვლებიან ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელი კობი კუნი, აგრეთვე შვეიცარიაში კარგად ცნობილი ფეხბურთელები ალენ გაიგერი, ენდი ეგლი და კრისტიან გროსი.

# „პსვ ეინდჰოვენს“ კონკურენტი არა ჰყავდა

ტრადიციულად ჰოლანდიაში სამი კლუბი იბრძვის ჩემპიონობისათვის: ამსტერდამის „აიაქსი“, როტერდამის „ფეიენოორდი“ და „პსვ ეინდჰოვენი“. 2000-2001 წლების პირველობაზე ეს ტრადიცია აშკარად დაირღვა: „აიაქსს“ პირველობისათვის ბრძოლაში ამჯერად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. დავა იყო მხოლოდ ორ კლუბს შორის, ისიც გარკვეულ მომენტამდე...

— სეზონი პირდაპირ გიჟური გამოდგა — განაცხადა „ფეიენოორდის“ მთავარმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვეიკმა — ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ მეორე ადგილიც კი მოსაპოვებელი გაგვიხდებოდა.

საქმე ის არის, რომ ზამთრის არდადეგების დადგომამდე „ფეიენოორდი“ მტკიცედ ლიდერობდა, მთელი 5 ქულით უსწრებდა „პსვ ეინდჰოვენს“. შემდეგ კი ლიდერს არაერთი უსიამოვნება დაატყდა თავს. პირველი და უმთავრესი იყო რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმა. შემდეგ ატყდა სკანდალი ბრაზილიელ თავდამსხმელ ლეონარდოს გამო. დაიწყო მისი პორტუგალიური პასპორტის ლეგალურობის შემოწმება. და აი, რა გაირკვა: თურმე ეს პასპორტი ვიღაცამ მოიპარა პორტუგალიურ საკონსულოში ციურიხში, შემდეგ კი 18 წლის ბრაზილიელმა შეიძინა. ლეონარდო მაინც იოლად გადარჩა: იგი 2 ათასი დოლარით დააჯარიმეს, 40-საათიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შემდეგ „ფეიენოორდში“ თამაშის ნება დართეს. სანამ კლუბის ხელმძღვანელობა სხვადასხვა საკითხებს აგვარებდა, ნელ-ნელა დაწინაურდა „პსვ ეინდჰოვენი“ და ლიდერობა ტურნირის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია. მოვიყვანთ ასეთი ცნობაც: „ფეიენოორდის“ წლიური ბიუჯეტი 38 მილიონი დოლარი იყო, გაცილებით ნაკლები, ვიდრე „აიაქსის“ და „პსვ ეინდჰოვენის“.

„პსვ ეინდჰოვენმა“ ზედიზედ მეორედ, საერთოდ კი, მეთექვსმეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. მან 34 თამაშიდან (25 მოგება, 8 ფრე, მხოლოდ 1 წაგება მე-15 ადგილზე გასულ „გრაფსხაპთან“ — 0-2, ბურთები — 73-23) 83 ქულა მოაგროვა. დასაწყისში კლუბს, რომელსაც ახლო წარსულში საკმაოდ ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელი ერიკ გერეტსი წვრთნის, სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ვან ნისტელროიმ მძიმე ტრავმა მიიღო და მთელი წელიწადი მკურნალობდა. უარეს დღეში აღმოჩნდა გუნდის ნამდვილი ლიდერი — ბელგიელი ლიუკ ნილისი, რომელიც ისე მძიმედ დაშავდა, რომ საერთოდ გამოეთხოვა ფეხბურთს.

ახალ და ძველ ჩემპიონს 13 (!) ლეგიონერი ჰყავს. ზოგი მათგანი გუნდში დიდ როლს ასრულებს. ასე მაგალითად, დაცვაში გამოირჩეოდნენ დანიელი იან ჰაინცე და რუსი იური ნიკიფოროვი. ჰოლანდიელთაგან ამ ხაზზე აღნიშნავენ კევინ ჰოფლანდსა და ანდრე ოოიერს. შუა ხაზზე 5 მატჩი ჩაატარა გიორგი გახოკიძემ, რომელიც სისტემატურად, ძალიან შედეგიანად თამაშობდა სათადარიგო შემადგენლობაში. თავდასხმაში ნილისისა და ვან ნისტელროის არყოფნაში ძალიან გამოიჩინა თავი 22 წლის იუგოსლავიელმა ვარსკვლავმა მათეა კეჟმანმა, რომელმაც 24 გოლით სნაიპერთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

აი, კიდევ ვინ მოხვდა სნაიპერთა ხუთეულში: 2. ჰოლანდიის მოქალაქე ალი ელ-პატაბი (როტერდამის „სპარტა“) — 21. 3-4. იუგოსლავიელი იგორ გლუშევიჩი („უტრეხტი“) და ბერძენი იანის ანასტასიუ („როდა“) — 19-19. 5. შოთა არველაძე („აიაქსი“) — 18.

ჰოლანდიელი მიმომხილველები ახლა ძალიან აქებენ მწვრთნელ ერიკ გერეტსს. იგი ბელგიის ორგზის და ჰოლანდიის ექვსგზის ჩემპიონი იყო. როგორც მწვრთნელმა კი ორჯერ: 1997 და 1998 წლებში მოიპოვა ბელგიის ჩემპიონობა, შარშან და წელს კი ჰოლანდიის ჩემპიონობა.

ის, რომ „ფეიენოორდი“ მხოლოდ მეორე იყო (66 ქულა, 21 მოგება, 3 ფრე, 10 წაგება, ბურთები 67-37), მისმა მესვეურებმა მარცხიანად ჩათვალეს. გუნდში ატმოსფერო დაიძაბა, მოთამაშეები ერთმანეთს წაეკიდნენ. დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბერტ ვან მარვეიკი შეიძლება ურიგო მწვრთნელი არ არის, მაგრამ მაინც შეუფერებელია ისეთი ავტორიტეტული კლუბისათვის, როგორიც „ფეიენოორდია“.

კიდევ უფრო დიდი არეულობა იყო ისეთ პოპულარულ კლუბში, როგორიც ჰოლანდიის მრავალგზის ჩემპიონი, ამსტერდამის „აიაქსია“. იგი საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა: 18 მატჩი მოიგო, 7 ფრედ დასრულა, 9 წააგო, ბურთების შეფარდებით 85-43, 61 ქულა მოაგროვა. მესამე ადგილი მას მარცხად კი ჩაეთვალა, მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ „აიაქსმა“, მართალია, უკანასკნელ ტურში მოგებით, მაგრამ მაინც მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე „აიაქსის“ მწვრთნელი კო ადრიანსე აცხადებდა, რომ ამ ჩემპიონატზე დიდ იმედებს არ ამყარებს და მას გარდამავლად თვლის. საჭიროა ახალგაზრდების დაწინაურება. მართლაც, არავითარი მონაწილეობა ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ამჯერად სახელგანთქმულ კლუბს არ მიუღია. ამასთან, მწვრთნელს ძალიან გაურთულდა ურთიერთობა ისეთ გამოცდილ ფეხბურთელებთან, როგორნიც არიან ვიჩგე და ვინტერი. ვიჩგე ძალიან ნაწყენი იყო, მწვრთნელს იგი ძირითად შემადგენლობაში რომ არ გამოჰყავდა და მას აღარც კი ელაპარაკებოდა. რაც შეეხება ვინტერს, მან განაცხადა, რომ მწვრთნელი ფეხბურთელებს ისე ექცევა, როგორც მცირეწლოვანებს, და წამყვან ოსტატებს არაფრად აგდებს. ამავე დროს დაიწყო სატრანსფერო ხელშეკრულებების გამოძიება. ახლა მოსალოდნელია დიდი ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში.



ჰოლანდიური კლუბები თავის ძირითად ამოცანად ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლას თვლიან. ამ მხრივ ბოლო სეზონის შედეგები ცუდი იყო. ასე, მაგალითად, ჩემპიონი „პსვ ეინდჰოვენი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ წინასწარ ჯგუფშიც კი დამარცხდა, შემდეგ კი უეფას თასში ფინალამდე კი მივიდა, მაგრამ აქ, მიმომხილველთა აზრით, თავისზე უფრო სუსტ გერმანულ კლუბ „კაიზერსლაუტერნთან“ დამარცხდა. ახლა ექსპერტები ფიქრობენ, რომ „პსვ ეინდჰოვენს“ დიდი პოტენციალი აქვს და თუ წამყვანი მოთამაშეები არ დაკარგა და საბრძოლო სულისკვეთებაც შეინარჩუნა, მაშინ ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ უნდა გამოვიდეს.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატმა წინა წლებზე მეტი ინტერესი გამოიწვია. სამი წამყვანი კლუბის მატჩებზე სტადიონები მაყურებლებს ვერ იტევდა, ამასთან, შემოსავალი სხვა გუნდებსაც ჰქონდათ.

ბიბი ბამრეკელი

## იოჟეფ ვენგლოში „ალანიას“ მწვრთნელი-კონსულტანტი იქნება

იმასთან დაკავშირებით, რომ წლეულს ვლადიკავკაზის „ალანიას“ აშკარად არ ულხინს: რამდენიმე მოთამაშემ დატოვა გუნდი და ზოგიც ზაფხულში აპირებს სხვა კლუბებში გადასვლას, „ალანიას“ მესვეურებმა საგანგებო ღონისძიებების მიღება გადაწყვიტეს.

ალექსანდრ იანოვსკი, რომელიც ორჯერ: 1993 და 2000 წლებში იყო მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი, ბოლოს და ბოლოს, დაინიშნა მთავარ მწვრთნელად.

მთავარი კი სულ სხვა რამ არის: „ალანიას“ მწვრთნელ-კონსულტანტად იმუშავებს გამოჩენილი ჩეხი სპეციალისტი იოჟეფ ვენგლოში, რომლის ხელმძღვანელობითაც 1990 წელს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხედფინალში გავიდა. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელობდა ბირმინგემის „ასტონ ვილას“, გლაზგოს „სელტიკს“, ბოლოს კი ლისაბონის „სპორტინგში„ მუშაობდა.

ასეთი მასშტაბის ევროპული სპეციალისტი რუსეთის უმაღლეს დივიზიონში პირველად იწყებს მუშაობას.

# არც „რივერი“, არც „ბოკა“

### არგენტინის ჩემპიონატის შედეგები

საფეხბურთო მიმომხილველების დიდ უმეტესობას მიაჩნია, ვთქვათ, უახლოეს ხანებში მსოფლიო ჩემპიონატი რომ გაიმართოს, პირველ ადგილს აუცილებლად არგენტინელები დაიკავებენ. ვინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ასეთმა მოლოდინმა და შეფასებამ დიდად გაზარდა ინტერესი არგენტინის ჩემპიონატისადმი, იმ ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც შინ დარჩნენ. რაც შეეხება ლეგიონერებს, მხოლოდ იტალიაში მოთამაშე არგენტინელებისაგან ისეთი ნაკრები შედგებოდა, რომ...

არგენტინის საგაზაფხულო ჩემპიონატში 20 კლუბი თამაშობდა და შეჯიბრება ერთ წრედ მიმდინარეობდა.

მოლოდინი, რომ პირველი ადგილისათვის „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ იბრძოლებდნენ, არ გამართლდა. ამჯერად შეჯიბრება ყველაზე უკეთ ნაკლებ ცნობილმა კლუბმა „სან-ლორენსომ“ ჩაატარა. სხვათა შორის, ეს ერთადერთია წამყვან არგენტინულ კლუბთაგან, რომელსაც ერთ პერიოდში მეორე დივიზიონში გადაბარგება მოუხდა, საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე მიღწევები არა ჰქონია, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატებში ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო. ამ სეზონის დასაწყისში შეიცვალა გუნდის ხელმძღვანელობა — ოსკარ რუჯერის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ჩილელი სპეციალისტი მანუელ პელეგრინი. ეს არჩევანი პირდაპირ ბრწყინვალე გამოდგა. შეიკრა შესანიშნავი ანსამბლი, აღმოიფხვრა რამდენიმე შედარებით სუსტი ადგილი და სულ მალე ცხადი გახდა, რომ „სან ლორენსო“ მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლებდა.



ბოლო ტურის წინ „სან ლორენსოს“ ფაქტობრივად განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი. მან უკანასკნელ შეხვედრაში დაამარცხა „უნიონი“ ანგარიშით 2-1, საბოლოოდ მოაგროვა 47 ქულა და მეცხრედ მოიპოვა არგენტინის ჩემპიონის წოდება. წარმატება, ცხადია, ბრწყინვალეა და გუნდის გულშემატკივრებს უკვე საერთაშორისო წარმატებების იმედი აქვთ, თუმცა...

... არის პესიმისტური პროგნოზებიც. „სან ლორენსოს“ თითოეულ მატჩს ევროპული სკაუტების ანუ მოხეტიალე მწვრთნელების მოზრდილი ჯგუფი ადევნებდა თვალს. შეიძლება სულ მოკლე ხანში „სან ლორენსო“ დატოვოს წამყვანი მოთამაშეების დიდმა ჯგუფმა და მაშინ ნახეთ... ახლა სხვადასხვა ევროპულ კლუბს მოლაპარაკება აქვთ ბერნარდო რომეოსთან (ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი), ლეანდრო რომანიოლისთან, ედუარდო ტუციოსთან, პაბლო მიჩელინისთან. ერთი სიტყვით, როგორც განთქმული მწვრთნელი კარლოს ბიანკი („ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელი) ამბობდა, არგენტინაში ჩემპიონობის მოპოვება... არც კი ღირს! სულ ცოტა ხანში ჩემპიონისაგან „ნანგრევებილა“ რჩება, თუმცა ასეთია ცხოვრებისეული რეალობა.



მეორე ადგილზე გასული „რივერ პლეიტი“ გამარჯვებულს 6 ქულით ჩამორჩა. ახლა არგენტინულ პრესაში გამოითქვა აზრი, რომ ეს მეორე ადგილი შეიძლება ამერიკო გალიეგოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე გაუხსნის გზას. მის შემცვლელად ასახელებენ ახლო წარსულში ცნობილ ფეხბურთელს რამონ დიასს, რომელიც ადრე უკვე წვრთნიდა „რივერ პლეიტს“ და ჩემპიონობაც მოაპოვებინა. რაც შეეხება „რივერ პლეიტის“ ვეტერან ფეხბურთელ ერნან დიასს, იგი ტოვებს არგენტინას და აშშ-ს „მაიამი ფიუჟნში“ დაიწყებს თამაშს.

მთელი სეზონის მანძილზე „რივერ პლეიტის“ გულშემატკივრები უკმაყოფილონი იყვნენ გუნდის თამაშით, აკრიტიკებდნენ ცალკეული მოთამაშეების პასიურობას და უსულგულობას. მართალია, ეს არ ეხებოდა ანდრეს დ'ალესანდროსა და განსაკუთრებით კი არიელ ორტეგას, თუმცა ორ კაცს არ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

მესამე ადგილზე გასულ „ბოკა ხუნიორსის“ წარუმატებლობა სულ მარტივად აიხსნება: როგორც უკვე ვთქვით, შარშანდელი ჩემპიონობის შემდეგ მას წამყვანი მოთამაშეები აღარ შერჩინეს. ახლა კარლოს ბიანკი ნამდვილად კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ დეკემბერში სწორედ „ბოკა ხუნიორსი“ შეხვდება საკონტინენტთაშორისო თასზე მიუნხენის „ბაიერნს“. მოთამაშეები კი ზოგი სად გადავიდა და ზოგი სად.

15 გატანილი გოლით არგენტინის ჩემპიონატის პირველი სნაიპერი გახდა რომეო („სან ლორენსო“). 13 გოლი შეაგდო კარდეტიმ („რივერ პლეიტი“), 11 — სავიოლამ („რივერ პლეიტი“), 10 — ბრისუელამ („ჩაკარიტა ხუნიორსი“).

„კოპა ლიბერტადორესის“ 2002 წლის გათამაშებაში არგენტინიდან მონაწილეობას მიიღებენ „სან ლორენსო“, „რივერ პლეიტი“ და „ბოკა ხუნიორსი“.

ბიბი თორაძე




# ჯენიფერ კაპრიატი – წლევანდელი სეზონის გმირი

ჯენიფერ კაპრიატი ჩოგბურთის ისტორიაში მეხუთე მოთამაშე გახდა, ვინც „დიდი მუზარადის“ პირველი ორი ასპარეზობა მოიგო: გაიმარჯვა ჯერ ავსტრალიის ღია პირველობაზე, შემდეგ კი როლან გაროსზე. მანამდე ეს შეძლეს მხოლოდ მორინ კონოლიმ (1953), მარგარეტ სმით კორტმა (1962, 1964, 1969, 1970 და 1973), შტეფი გრაფმა (1988) და მონიკა სელეშმა (1991 და 1992). ახლა მან „დიდი მუზარადის“ სხვა ტურნირებში გამარჯვებისათვის უნდა იბრძოლოს.

კაპრიატი დაიბადა 1976 წლის 29 მარტს ნიუ-იორკში. ცხოვრობს ფლორიდის შტატის ქალაქ უესლი ჩეპელში. 173 სმ, 61 კგ, თამაშობს მარჯვენა ხელით. პროფესიონალია 1990 წლიდან. იგი ახლა მეოთხე რეიტინგის მფლობელია, თუმცა წყვილთა შორის მხოლოდ 65-ე რეიტინგი აქვს.

თავის კარიერაში ჯენიფერ კაპრიატიმ მიიღო 3 მილიონ 482 528 დოლარი პრიზი. მოიგო 272 მატჩი, წააგო 118.

აი ჩოგბურთელის ძირითადი წარმატებები: 12 პირველი ადგილი საერთაშორისო ტურნირებში: ბოკა რეიტონი – 1990, ჰილტონ ჰედი – 1990, ფილადელფია – 1991, კანადის ღია პირველობა – 1993, ჩიკაგო – 1996, სიდნეი – 1997, სტრასბური – 1999, კვებეკი – 1999, ლუქსემბურგი – 2000, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი – 2001, ჩარლსტონი – 2001, საფრანგეთის ღია პირველობა – 2001. ერთხელ მოიპოვა პირველი ადგილი ქალთა წყვილებში მონიკა სელეშთან ერთად. – იტალიის ღია პირველობაზე 1991 წელს.

საინტერესოა, რომ ჯენიფერ კაპრიატის მშობლებიც ჩოგბურთელები იყვნენ. ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით ერთგვარი გატაცების დაძლევის შემდეგ სავსებით მოწესრიგებულ ცხოვრებას ეწევა. ბევრს კითხულობს, წერს, უყვარს კინოფილმების ყურება და ცეკვა. საყვარელი ფილმია ამ რამდენიმე წლის წინათ ძალიან პოპულარული „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“.

# 2001 წლის საჩემპიონო „მარულა“

ამ ცხრილში მხოლოდ 2001 წლის შეჯიბრებების შედეგებია ასახული. ჩოგბურთელ ვაჟთა შორის პირველობის რეალური პრეტენდენტი სულ ორია: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) და ანდრე აგასი (აშშ).

ახლა დავაკვირდეთ მათ წინსვლას ცალკეული ტურნირების შედეგების მიხედვით:

1. გუსტავო კუერტენი (დაიბ. 1976 წლის 10 სექტემბერს). ავსტრალია – 7 ქულა, ინდიან უელსი – 15. მაიამი – 7. მონაკო – 100, რომი – 70, ჰამბურგი – 1, როლან გაროსი – 200 ქულა პირველი ადგილისათვის, 90 ქულა ყველა დანარჩენ ტურნირში. სულ კუერტენს დღეისათვის აქვს 490 ქულა.

2. ანდრე აგასი (დაიბ.1979 წლის 29 აპრილს). ავსტრალიის ღია ჩემპიონატი – 200 ქულა პირველი ადგილისათვის. ინდიან უელსი – 100, მაიამი – 100, რომი – 1, ჰამბურგი – 7. როლან გაროსი – 50. დანარჩენ ტურნირებში მოაგროვა 26. სულ აგასის დღეისათვის აქვს 484 ქულა.




აი დანარჩენი ჩოგბურთელების მაჩვენებლები: 3. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – 451 ქულა, 4. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) – 323. 5. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – 281. 6. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 233. 7. ალექს კორეტჰა (ესპანეთი) – 231. 8. როჟე ფედერერი (შვეიცარია) – 225. 9. ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) – 191. 10. არნო კლემანი (საფრანგეთი) – 185 ქულა და ა.შ.

# BTA-ინდივიდუალური რეიტინგი

როლან გაროსის შემდეგ წამყვან ჩოგბურთელ ქალთა ინდივიდუალური რეიტინგი ასე გამოიყურება:

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5685. 2. ვენუს უილიამსი (აშშ) — 4789. 3. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4328. 4. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 4252. 5. სერენა უილიამსი (აშშ) — 2481. 6 ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 2367. 7. კიმ კლიისტერსი (ბელგია) — 2203. 8. მონიკა სელეში (აშშ) — 2146. 9. ჯასტინ ჰენინი (ბელგია) — 1915. 10. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1893. 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 1819. 12. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 1782. 13. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1727. 14. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — 1608. 15. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — 1538. 16. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) — 1423. 17. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1408. 18. სილვია ფარინა ელია (იტალია) — 1404. 19. მეგან შონესი (აშშ) — 1389. 20. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1372.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**19 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (14.05). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***ESPN.*** კალათბურთი, ნბა (14.00), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (03.30), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (20.30), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (22.00), რბოლა სატვირთო ავტომობილებით. ევროპის თასი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: ანგოლა – ჩეხეთი (13.15, 21.10), ჰოლანდია – კოსტა-რიკა (15.00, 23.35), განა – პარაგვაი (16.45), ირანი – საფრანგეთი (18.30). ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. რუსეთი – სლოვაკეთი (16.40), იტალია – იუგოსლავია (0.25), ქალები, მეოთხედფინალი (20.55).

**20 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***PTP.*** ფეხბურთი. რუსეთის თასის ფინალი. „ლოკომოტივი“ – „ანჟი“ (18.20), ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (18.30). კალათბურთი. ნბა (23.00, 06.00). ***EUROSPORT.*** რბოლა სატვირთო ავტომობილებით, ევროპის ჩემპიონატი (14.00). ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (14.30), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (15.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (17.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (22.30), ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (23.30), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (1.00), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არქივი“: ევროპის ჩემპიონატი, ჰოლანდია – იუგოსლავია (15.30), ესპანეთი – საფრანგეთი (19.05), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.00). იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: უკრაინა – ჩინეთი (21.55), ეგვიპტე – არგენტინა (0.40), ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (12.00), ცხენოსნობა. რუსეთის თასი (14.40, 22.40). მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (15.40), ტაილანდური კრივი (0.10).

**21 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.25), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (11.00, 23.00), ***EUROSPORT.*** ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (12.30), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (14.00), რბოლა სატვირთო ავტომობილებით. ევროპის თასი (16.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (16.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (17.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (21.45), ფეხბურთი. „ერთი მსოფლიო – ერთი თასი“ (1.00), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: უკრაინა – ჩინეთი (13.15), ეგვიპტე – არგენტინა (15.00), საფრანგეთი – პარაგვაი (21.55), ჰოლანდია – ეკვადორი (0.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.45, 17.50), „მსოფლიო ფეხბურთი“ (20.00, 0.10). ***НТВ плюс спорт.*** ცხენოსნობა. რუსეთის თასი (23.30), მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (14.25), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი, ვაჟთა მეოთხედფინალი (0.40), ტაილანდური კრივი (2.00).

# მრბოლები, მრბოლებად, მანქანები!

## ფორმულა-1

**ბარი.** ოფიციალური სახელწოდება: ლიკი სტრაიკ რეინალდ ბარ ჰონდა (Luckyu Strike Reynard BAr Honda) შასი: ბარ 003 ( BAR 003), ძრავა: ჰონდა RAOO1E. საბურავები: ბრიჯსტოუნი (Bridgestone). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: 1999 წლის 7 მარტი ავსტრალიის „გრან-პრიზე“. მონაწილეობა „გრან-პრიში“: 33-ჯერ — 0 გამარჯვება, 0 პოულ-პოზიშნი, 0 უსწრაფესი წრე. კონსტრუქტორთა თასი: არა აქვს. საუკეთესო ადგილი — მე-5 (2000), ჩემპიონის ტიტული არა აქვს.





**ჯორდანი**

ოფიციალური სახელწოდება: ბენსონ ენდ ჰეჯეს ჯორდანი (Benson and Hedges Jordan Honda) შასი: ჯორდან ES11 (jordan ES 11).. ძრავა: ჰონდა RAOO1E საბურავები: ბრიჯსტოუნი (Bridgestone). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: 1991 წლის 10 მარტი აშშ-ს „გრან-პრიზე“. „გრან-პრიში“ მონაწილეობა: 163-ჯერ — 3 გამარჯვება, 2 პოულ-პოზიშნი, 2 უსწრაფესი წრე. კონსტრუქტორთა თასი: არა აქვს საუკეთესო ადგილი — მე-3 (1999). ჩემპიონის ტიტული: არა აქვს.

## ვინ ვინაა



**მიკა ჰაკინენი**

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს, ჰელსინკში (ფინეთი). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: აშშ-ს „გრან-პრი“ (1991 წლის 10 მარტი) გუნდები: „ლოტუსი“ (1991-1992), „მაკლარენი“ (1993-2001). საუკეთესო მიღწევა: მსოფლიოს ჩემპიონი (1998-1999) აიღო „გრან - პრის“ სტარტი 145-ჯერ: 18 გამარჯვება, 48 პოდიუმი, 26 პოულ-პოზიშნი, 36 სტარტი პირველ რიგში. 22 უსწრაფესი წრე. სულ დააგროვა 383 ქულა. ცხოვრობს მონტე-კარლოში, ცოლი — ერია, ჰყავს ვაჟი — ჰიუგო.



**დევიდ კულტჰარდი**

დაიბადა 1971 წლის 27 მარტს, ტვინჰოლმში (შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: ესპანეთის „გრან — პრიზე“ (1994 წლის 28 მაისს). გუნდები: „უილიამსი“ (1994-1995), „მაკლარენი“ (1996-2001).

საუკეთესო მიღწევა: მე-3 ადგილი ჩემპიონატებში (1995, 1997, 1998, 2001). აიღო „გრან-პრის“ სტარტი 107-ჯერ: 9 გამარჯვება, 41 პოდიუმი, 10 პოულ-პოზიშნი, 32 სტარტი — პირველ რიგში, 14 უსწრაფესი წრე. სულ დააგროვა 292 ქულა. ცხოვრობს მონტე-კარლოში. უცოლოა, შვილი არ ჰყავს.

## ცნობა: ვის რამდენი. რისთვის?

კვალიფიკაცია ტარდება ეტაპის კვირაძალზე — შაბათობით, პილოტს შედეგის მიხედვით უფლება ეძლევა დაიკავოს ადგილი სტარტზე. ჰოულ-პოზიშნის მფლობელი პირველი ადგილიდან იწყებს რბოლას. ეტაპის გამარჯვებულად ითვლება, ვინც პირველად გაივლის წრეების განსაზღვრულ რაოდენობას, ან ინარჩუნებს ლიდერობას სტარტიდან რბოლის ორი საათის შემდეგ. დანარჩენი სპორტსმენები ბოლომდე გადიან წრეს და ამთავრებენ რბოლას მიუხედავად ბოლო იქნება იგი მათთვის თუ არა. — ეტაპის გამარჯვებულს მიეკუთვნება 10 ქულა, მეორე ადგილისათვის 6 ქულა ერგება, მე-3 -თვის — 4, მე-4-თვის — 3, მე-5-სათვის — ორი, მე-6-სათვის ქულა.

— კონსტრუქტორთა თასისათვის ჩათვლაში შედის (ჯამდება) გუნდის ორივე მრბოლის ქულები.

— თანაბარი ქულების შემთხვევაში პილოტთა ჩემპიონატსა და კონსტრუქტორთა თასზე უპირატესობა ეძლევა მეტი პირველი ადგილების მფლობელს, თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოჩნდა — წინ იქნება მეორე ადგილების მფლობელი და ა.შ.

— გუნდს უფლება აქვს წლის განმავლობაში პილოტი სხვა მრბოლით შეცვალოს, თუ მას ფია-ს სუპერლიცენზია აქვს.

**შპს „ჟოკეი კლუბი“ (თბილისის იპოდრომი) ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დირექტორის მოადგილე**

**არჩილ კვეკვეცია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ფედერაციის წევრის**

**არჩილ კვეკვეციას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის 1962 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ თანაკურსელ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დავით დავითაიას ბიძაშვილის**

**ტოტოჩი ხაბურზანია – დავითაიას**

**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა ხუთშაბათს, 21 ივნისს სოფ. ძვ. სენაკში (სენაკის რ-ნი).

## კროსვორდი № 47




**თარაზულად:** 3. ებრაელთა ცნობილი სპორტული კლუბი, 5. ცნობილი ილუზიონისტი, 6. სპორტულ შეჯიბრებაში წინასწარ მიცემული უპირატესობა, 8. შეტევა, თავდასხმა სახელმწიფოთა შორისაც, 10. მძიმე შედეგი კრივში, 11. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე, 12. „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე, 13. წინაღობა მძლეოსნობაში, 15. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 19. მოსალოდნელი საშიშროება, საფრთხე, 20. ერთიანი ნარდში. 21 აშშ-ის სამხედრო უწყების ხუთკუთხიანი შენობა.

**შვეულად:** 1. შერკინება, რომლის მიზანია გამოავლინოს საუკეთესონი, 2. სასტუმროს მოსამსახურე, მეთვალყურე ვესტიბიულში, 4. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 7. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი, 9. ზორბა, ვეებერთელა ადამიანი, 10. გამარჯვების ქალღმერთი, 12. საავტომობილო რბოლის სახეობა, რბოლა კარტებით, 14. ფოთის კოლხეთის ფეხბურთელთა მწვრთნელი, 16. ერთ-ერთი სვლა ჭადრაკში, 17. მექსიკის ნაკრების ფეხბურთელი, გარსია... 18. ძიუდოისტთა ოსტატობის ხარისხი იაპონიაში, 22. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი.

## კროსვორდი №46-ის პასუხები:

**თარაზულად:** 2. დარსაძე, 5. პაიკი, 7. ციმაკურიძე, 8. ერი, 10. მხედარი, 11. იორკი, 14. ფლინი, 16. რაგბი, 18. როა, 19. ალტობელი, 20. ფლო, 21. ლია, 22. ემპოლი, 23. ნენსი.
**შვეულად:** 1. კრივი, 2. დიაჩკოვი, 3. სორელი, 4. ძუძუმტე, 5. პია, 6. კორტი, 9. „ზარია“, 12. ბელოვი, 13. „თბილისი“, 15. ისლამი, 16. რაიონი, 17. შელია.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. c3! 1. ...მფa5 2. c4X.
1. ...d4 2. c4X. 1. ...c4 2. ლd5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №7 (15) ივნისი, 2001 წელი

# ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება





დრო მიდის ჩვეული სიდინჯით, ხოლო ევროპის ჩემპიონატი კარატეში ახლოვდება, რომელსაც 5-8 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს. XXI საუკუნე ქართული სპორტისთვის, კერძოდ კარატესთვის შესანიშნავად დაიწყო. ეს კი იამს ნიშნავს, რომ ახალი საუკუნე კარგად დაიწყო, პირველივე წელს ამხელა სპორტული ღონისძიების ჩატარება ხუმრობა ხომ არ არის.

სწორედ რომ ამ ევროპის ჩემპიონატის წინასწარ სამზადისად კიდევ ერთი, რიგით მესამე პრესკონფერენცია გამართა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ თბილკრედიტბანკის მშვენიერ შენობაში, რომელსაც ამავე ფედერაციის არაერთი საპატიო სტუმარი და მეგობარი ესწრებოდა.

პრესკონფერენციაზე განიხილეს წინასწარი სამზადისი რითაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და მსოფლიოს



შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, მე -8 დანის მფლობელი, ლეგენდარული ოსტატი ჰიტოში კასუიაც კმაყოფილებას გამოთქვამენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სენსეი ჰიტოში კასუია თბილისის უკვე ძალიან ხშირი სტუმარია და ახლაც 5 ივნისს კიდევ ერთხელ გვეწვია. „პირადად მე საქართველოში კარატეს განვიათრებით, როგორც მისი სპორტული , ისე ორგანიზაციული მხარით უზომოდ კმაყოფილი ვარ. ასეთი სწრაფი პროგრესი ჯერ არსად მინახავს და თუ ასე გაგრძელდა სულ მალე ერთ-ერთი მოწინავე იქნება მთელს მსოფლიოში საქართველო კარატეს სამყაროში" - განაცხადა იაპონელმა ოსტატმა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი მეძმარიაშვილმა, რომელიც პრესკონფერენციაზე იყო მოწვეული განაცხადა: „ჩვენ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს ვუჭერთ ამ დიდ მოვლენას. სპორტი საქართველოსთვის აღიარების საუკეთესო საშუალებაა და ამიტომაც ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ჩვენ რასაც შევძლებთ მაქსიმალურად დავეხმარებით ამ ბრწყინვალე წამოწყებას და იმედია ეს საფუძველი იქნება საქართველოს სპორტის განვითარების საქმეში".

ასევე თანადგომა აღუთქვა კარატეს ფედერაციას კიდევ ერთმა მეგობარმა და თურმე ერთ დროს აქტიურმა სპორტსმენმა, კარატისტმა, ხოლო დღეს პარლამენტარმა ლევან პირველმა, რომელმაც ძალიან ლაკონურად თქვა: „მე ერთ დროს საკმაოდ სერიოზულად ვიყავი კარატეთი გატაცებული. ჩემი მასწავლებლები მაშინდელი კარატეს პიონერები იყვნენ და მეამაყება, რომ ისინი ისევ თავის საქმეს აკეთებენ ერთგულად. დღეს კი საქართველოს მთელი მსოფლიოს კარატეს სამყარო იცნობს, რაც დიდი მონაპოვარია. რაც შეეხება ამ ევროპის ჩემპიონატს შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად დავეხმარები, ეს საუკეთესო, უდიდესი მოვლენაა საქართველოს კარატისტებისთვის და ვფიქრობ მლიანად საქართველოსთვის".

შეიძლება ბევრისთვის მოულოდნელი და გასაკვირიც იყოს, მა-



გრამ ფაქტია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტარ ლევან პირველს და ქალაქის პოლიციის შეფს ბატონ სოსო ალავიძეს იაპონელმა ოსტატმა ჰიტოში კასუიამ მესამე დანის ხარისხები (შავი ქამარი) მიანიჭა და თავადვე გადასცა

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და მთლიანად ფედერაცია ულოცავს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს, პარლამენტარ ბატონ ლევან პირველს და თბილისის პოლიციის შეფს ბატონ სოსო ალავიძეს დამსახურებული, საპატიო მესამე დანის მინიჭებას.**

**ისინი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისთვის ნამდვილი მეგობრები არიან.**

ამის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით. თუმცა ბატონი სოსო ალავიძე ალბათ პროფესიული მიზეზების გამო ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, სასიამოვნო წუთებს ვერ დაესწრო, მაგრამ, როგორც პრესკონფერენციაზე აღნიშნეს იგი თავის თავზე აღებულ ვალდებულებას ბრწყინვალედ შეასრულებს, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დღეებში თბილისში სრული წესრიგი იქნება. ასე რომ 37 ქვეყნის უცხო სტუმრები ყოველნაირად დაცულნი და მშვიდად იქნებიან.

გარდა ამისა, ამ დღეებში ჰიტოში კასუიამ, კიდევ ერთი დიდი საერთაშორისო სემინარი გამართა, რომლის შემდგომაც საგამოცდო ატესტატებიც ჩაატარა, რომლითაც თვითონაც კმაყოფილი დარჩა და კიდევ ერთხელ აღნიშნა ქართველი კარატისტების მონდომება და ყოველდღიური წინსვლა.

მაშ ასე, ჩვენი პატარა ლამაზი ქვეყანა დიდი ლამაზი მოვლენითვის ემზადება. მალე მთელი ევროპა და მელი მსოფლიო ილაპარაკებს მის მშვენიერებაზე, სტუმართმოყვარეობაზე... და რაც მთავარია მის ლამაზ მებრძოლ სულზე, რომელიც ქართველმა კარატისტებმა უნდა უჩვენონ.

იმედია ეს შემოდგომა უხვი და ბარაქიანი იქნება ქართველი კარატისტების მედლებითაც.



რობერტ ბაგრიანის ფოტოები





## ბექა ხმალაძე

დაბადებული 1985 წლის 17 ოქტომბერს

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი - II ადგილი 3/X/1997 წ.
2. სამგორის ღია ჩემპიონატი - II ადგილი - 12/IV/ 1999 წ.
3. აჭარის - ღია ჩემპიონატი - III ადგილი - 26 / XII/ 1999 წ.
4. მხედრიონის თასი - II ადგილი - 26 / II/ 2000 წ.
5. ფოთის ჩემპიონატი - კატაში - III ადგილი - 24 / VI/ 2000 წ.
6. ფოთის - ჩემპიონატი - გუნდური კატა - I ადგილი - 24/ VI/ 2000 წ.
7. საქართველოს პირველობა - კატაში - III ადგილი - 27 / XII/ 2000 წ.
8. საქართველოს პირველობა - გუნდურ კატაში - I ადგილი - 27/XII/2000 წ.
9. საქართველოს ჩემპიონატი - გუნდური კატა - III ადგილი.
10. საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი - გუნდური კუმიტე - I ადგილი - 10 / II/ 2001 წ.
11. კლუბ „მაკაბის" ღია ტურნირი - III ადგილი.
12. საქართველოს ჩემპიონატი - კუმიტეში - I ადგილი.

**ბექა ხმალაძე ვარჯიშობს ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ბაზაზე, რომელიც არის საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური სკოლა. მისი ხელმძღვანელი და მასწავლებელია საქართველოს კარტე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მე-4 დანის მფლობელი (W.S.K.F.), უნიკალური პიროვნება, უძლიერესი კარატისტი, კეთილსინდისიერი პედაგოგი-ბესიკ ხუციშვილი, რომელიც საუკეთესოდ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.**

# ოსტატების რჩევა-დარიგება



**დამწყების მდგომარეობა**

როდესაც - დამწყები, თანდათანობით აგროვებს გამოცდილებას აღწევს უმაღლეს დონეს, შემდეგ კი ხელახლა გვევლინება დამწყებად. იგივე მიდგომა არსებობს სამხედრო ხელოვნებაში. დამწყებმა არ იცის, როგორ დაიჭიროს ხმალი, როგორი დგომი მიიღოს. მისი სხეული არ არის ცნობიერებით გაჟღენთილი. მას თუ უტევენ, ის პასუხობს მაგრამ მას არა აქვს ჩამოყალიბებული გეგმა, ანუ სტრატეგია. ამის და მიუხედავად თუ როგორ ითვისებს სხეული ილეთებს და დგომებს, მათ გამოყენებას და ორთაბრძოლის სტრატეგიას, დამწყების ცნობიერებას არ ძალუძს აზრის კონცენტრირება. როდესაც ცდილობს რა დარტყმის მიყენებას იგი მერყეობს და იზღუდება, მაგრამ თვეების და წლების ვარჯიშის შემდეგ, ილეთები და დგომები გაუცნობიერებლად სრულდება. ეს ხელახლა დამწყების მდგომარეობაა. წინაალმდეგობებისგან დამოუკიდებლად შესაძლებელი ხდება მოცემულ მომენტში საჭირო მოქმედება.

**ვარჯიშის აზრი**

მათგან, ვინც სულით შეიცნო ბუდო (საბრძოლო ხელოვნებით), თაობიდან თაობას გადაეცემა განსაკუთრებული საიდუმლო პრონციპები, მე აქ წარმოგიდგენთ ანარჩევს ამ ქმნილებებიდან, რომლებიც სახელმძღვანელოდაა გამოყენებული კუმიტეში სავარჯიშოდ. მათი პრაქტიკული გამოყენება გამარჯვების ან დამარცხების საკითხის გადაწყვეტისას არ გვესახება ერთადერთ მიზნად. მათი შემეცნებით უნდა შევიდეთ საბრძოლო ხელოვნების სულთან შეხებაში და შევაფასოთ საკუთარი თავი. შემდეგ კი გვრჩება მხოლოდ მუდმივად და გულმოდგინედ ვარჯიში.

ტაკუან ზენდჯი


ნინო ანანიაშვილი და მაია ხელაშვილი

# მაია ხელაშვილი: „ბალეტს მთელს ჩემს ცხოვრებას დავუთმობ"

## პატარა ხელოვანის დიდი გეგმები

რამოდენიმე კვირის წინ საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა კახა ბასილიამ საქველმოქმედო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. პირველი ქველმოქმედების ობიექტი კოჯრის უპატრონო ბავშვთა სახლი იყო, რომელსაც ყოველთვიურად სხვადასხვა სახის ინვენტარითა და პურპროდუქტებით ეხმარება. ბოლო ხანებში ფედერაციამ საქართველოში კულტურის მოღვაწეებზეც დაიწყო ზრუნვა, კერძოდ ბალეტის სასწავლებლის საუკეთესო მოსწავლეების დაფინანსება გადაწყვიტა. ერთ-ერთი მათგანი მაია ხელაშვილი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. იგი თერთმეტი წლიდან ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობს. 4 წლის წინ მას მიწვევა ჰქონდა მონაკოს სამეფო ბალეტის აკადემიაში, სადაც ორი წელი სწავლობდა. ამაზე და სხვა საინტერესო ამბებზე უფრო დაწვრილებით თვითონ მაია გვესაუბრება:

- 1997 წელს თანატოლებში, როგორც საუკეთესო ბალერინა მიმიწვიეს მონაკოს სამეფო ბალეტის აკადემიაში. იმ დროს ჩვენს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სამხატვრო ხელმძღვანელი ამჟამინდელი დირექტორი ბატონი თამაზ ვაშაკიძე იყო. სწორედ მისი დიდი თანადგომითა და დახმარებით გავემგზავრე მონაკოში. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადავუხადო ბატონ თამაზს უღრმესი მადლობა.

ყოველ წელს, როგორც წესი მონაკოს ბალეტის აკადემიაში თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ბალერინები. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება აკადემიასა და მოცეკვავის მიერ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. მე იქ სწავლის ერთწლიანი ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული, მაგრამ 1998 წელს კვლავ მიმიწვიეს. მათი ინტერესი ჩემს მიმართ მაღალი მონაცემებით იყო გამოწვეული. ეს ორი წელი ჩემთვის ძალზე საინტერესო გამოდგა. მასწავლიდნენ არაჩვეულებრივი პედაგოგები განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონი მარიკა ბეზობრაზოვა, რომელმაც მოსკოვის უმაღლესი საბალეტო სკოლა დაამთავრა. იგი დიდი გამოცდილებისა და ნიჭის მქონე ბალერინაა ასევე სახელგანთქმული პედაგოგი. ქალბატონი მარიკა დიდ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ, რისთვისაც მადლობელი ვარ. სწორედ ამ ქალბატონისა და ჩემი დაუღალავი მუშაობის, ერთობლივი შედეგი იყო მონაკოში ჩემი პოპულარობა.


მაია ხელაშვილი პარტნიორთან

*- იქ დადგმულ სპექტაკლებში თუ მონაწილეობდი?*

- მონაკოს ბალეტის აკადემიას ჰქონდა პატარა საოპერო, არაჩვეულებრივად ლამაზი დარბაზი, სადაც სეზონურად ვდგამდით სპექტაკლებს. გარდა ამისა გამოვდიოდი ოპერის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ორჯერ თვით მონაკოს პრინციც დაესწრო. ეს ჩემთვის დიდ ბედნიერებას წარმოადგენდა.

*- ძნელი იყო მონაკოში სწავლა?*

- ძალიან. გაცილებით მეტი დატვირთვა გვქონდა, ვიდრე აქ. მარტო კლასიკას დღეში 3-3 საათს ვუთმობდით, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დანარჩენ საგნებზე. პლიაჟზე დასვენება რომ არ გვქონოდა ალბათ ძალა გამოგვეცლებოდა.

*- საქართველოდან მხოლოდ თქვენ მიგიწვიეს?*

- დიახ. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. უნდა ითქვას, რომ იქაურმა აუდიტორიამ ძალიან თბილად მიგვიღო და პრესაშიც შესაბამისი გამოხმაურება ჰპოვა. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ პედაგოგებსა და კოლეგებთან მიწევდა ურთიერთობა. მონაკოში გატარებული დღეები ჩემთვის ბევრის მეტყველია, იქ დიდი გამოცდილება შევიძინე. მონაკოში ისეთი სიყვარული დავიმსახურე, რომ დღესაც მიგზავნიან მოწვევებს. სამწუხაროა, რომ სახსრების უქონლობის გამო, ვერ ვახერხებ გამგზავრებას.

*- როგორც ვიცი, ერთი სპონსორი უკვე გამოგიჩნდათ საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის სახით...*

- დიახ, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ ბატონი კახა ბასილიას, რომელიც ყოველთვიურად მაფინანსებს 100 ლარის ოდენობით, მაგრამ ეს საკმარისი როდია. არ მინდა ვინმემ უმადურობა დამწამოს, თუმცა ეს თანხა მარტო „ჩუსტიკების" ყიდვაში თუ გამომადგება. კვირაში ორჯერ მაინც უწევს ბალერინას პუანტების ყიდვა. ერთი წყვილი პუანტი 30 ლარი ღირს. თითქოსდა არაფერიაო, მაგრამ ხომ რწმუნდებით ბალერინას რამდენი რამ სჭირდება. სამწუხაროდ ყოველივე ამაზე ჩვენ თვითონ ვზრუნავთ.

*- თქვენი სკოლა ამ მხრივ არ გეხმარებათ?*

- არა, ვინაიდან სკოლას საჭირო თანხები არ გააჩნია. თუმცა ბატონი თამაზ ვაშაკიძე ყველაფერს ცდილობს იმისათვის, რომ ყველანაირი პირობა შეგვიქმნას. ერთხელ მან საკუთარი სახსრებით, უსასყიდლოდ, სასწავლებლის ყველა მოსწავლეს „ჩუსტიკები" გადმოგვცა. მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ შეძლებს ასეთი საჩუქრების გაკეთებას, ამიტომ სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს კულტურაზე. ოპერასა და ჩვენს სასწავლებელს ძალიან ცუდი დაფინანსება აქვს, ამაზე შენობის დაბზარული ჭერი და კედლებიც მეტყველებენ. ბევრი პრობლემაა დღეს ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში. თვითონ ბალერინებსაც სტიმული გვეკარგება, როცა ასეთ უიმედობას ვხედავთ. ალბათ ამის შედეგია ის, რომ უმრავლესობა საქართველოდან მიდის.

*- თქვენც ხომ არ აპირებთ წასვლას?*

- კი, სკოლის დამთავრების შემდეგ მინდა ცოდნა კვლავ საზღვარგარეთ გავიღრმავო. რადგან თუ გინდა რამეს მიაღწიო აქედან უნდა წახვიდე, ოღონდ სულ არა. ალბათ ვერც შევძლებ საქართველოს სულ დატოვებას. მინდა ჩემს პროფესიაში უფრო მეტი გამოცდელება მივიღო და ისეთი აღიარებული ბალერინა ვიყო, როგორიც ნინო ანანიაშვილია. მაგრამ ამას დიდი შრომა და თავდაჯერებულობა სჭირდება.

*- ესე იგი ნინო ანანიაშვილი თქვენი იდეალია?*

- დიახ, ძალიან მომწონს, იმიტომ რომ მასავით არავინ არ ცეკვავს, თუმცა ბევრია ნიჭიერი, მაგრამ ნინოს რომ ტექნიკა აქვს, არავისზე არ მინახავს. ერთი სიტყვით ნინო სულ სხვაა. მისი ცეკვის სტილი, მოქნილობა ყველასაგან გამორჩეულია. პიროვნულად ნინო ძალიან თბილი და კეთილი ადამიანია. თუმცა ბალერინებს ისეთ სამყაროში გვიწევს ცხოვრება, რომ გამორიცხულია ჩვენში ბოროტების, უხეშობის არსებობა.

*- ნინოს მონაწილეობით დადგმულ სპექტაკლებში თუ გამოსულხართ?*

- კი, როგორ არა, „მაკნატუნაში", „გედის ტბაში", ვმონაწილეობდი აგრეთვე „დონკიხოტში", „ჟიზელში". სცენაზე გამოვდიოდი ასევე პოპულარული მოცეკვავეების სპექტაკლებშიც, ირმა ნიორაძესა და იგორ ზელინსკის მონაწილეობით. ამაზე მეტი ბედნიერება რა არის ჩემთვის, როცა ასეთ პროფესიონალებთან ერთად სცენაზე ცეკვავ.

*- მაიკო ბალეტი შენთვის რა არის?*

- ბალეტი ჩემი ცხოვრების წესად გადაიქცა. ბალეტს მთელს ჩემ ცხოვრებას დავუთმობ. მე რომ ბალეტი არ მყვარებოდა ეს გამორიცხული იყო, ვინაიდან მთელი ჩემი ოჯახი ამ საოცარ სამყაროს ემსახურება. დავიწყოთ იქიდან, რომ ბაბუაჩემი, რადინ ხელაშვილი ჯანო ბაგრატიონის სახელობის ანსამბლში ცეკვავდა, მამაჩემი, პაატა ხელაშვილი დღესაც ოპერისა და ბალეტის სოლისტია. იგი ძირითადად სახასიათო ცეკვებს ასრულებს. მე და ჩემს ძმას, ოთიკოს, ბავშვობიდანვე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო შენობაში გვიხდებოდა ყოფნა. სწორედ იქ გატარებულმა ჩემმა ბავშვობამ განაპირობა ბალეტისადმი დიდი სიყვარული. ბალეტი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

*- და ბოლოს, მაინც სად გინდა წასვლა ცოდნის ასამაღლებლად?*

- არ ვიცი. ბევრი მოწვევები მაქვს გერმანიიდან, რუსეთიდან, იგივე მონაკოდან, თუმცა მე მაინც მონაკო მირჩევნია, რადგან იქ უკვე ნამყოფი ვარ და ძალიან მომწონდა იქ სწავლა, მუშაობა, ურთიერთობა. ალბათ ჩემი გეგმები მალე განხორციელდება. ვიმედოვნებ, რომ კვლავ გამოჩნდებიან სპონსორები ამჯერად უფრო დიდი სახის დახმარებებით. ყოველ შემთხვევაში იმედს არ ვკარგავ.

*- გმადლობთ მაიკო, გისურვებ წარმატებებს.*


MONTE-CARLO
FLASH

✔ L'OPEN DE TENNIS DE MONTE-CARLO à un rendez-vous quotidien sur Monte-Carlo TMC. Chaque soir, en effet, à 19 h 20, Emmanuelle Delteil, entourée de Patrice Dominguez et de Henri Leconte, présente la météo depuis les Terrasses de Monte-Carlo Country-Club. Invités, coulisses, match du jour : en dix minutes, le résumé d'une journée à l'Open.

✔ UNE RIVERAINE DE la partie supérieure de l'avenue Bosio s'étonne que sept emplacements pour voitures aient été supprimés d'un côté de cette artère pour laisser ranger les deux roues. Elle souligne que les automobilistes qui avaient déjà bien du mal à se garer dans le secteur vont devoir laisser leur voiture... en France. Elle souhaite un retour à la situation antérieure, d'autant, précise-t-elle que les motos ne sont pas légion dans le quartier.

✔ LA MEC (MONACO EXPO CACTUS) se déroulera du 30 mai au 1er juin, au Jardin exotique. Pour toutes informations complémentaires, contacter le Jardin exotique (tél. 93.15.29.80)

Visite du président international du Lions Club

Graines d'étoiles

Plus de 90% de réussite aux examens de danse classique de Monte-Carlo Mention TB pour Friedemann Vogel boursier de la Fondation John-Gilpin et le Slovaque Jozef Varga

მარცხნიდან პირველი მაია ხელაშვილი

Des élèves venus de vingt pays différents se sont produits sous les yeux du jury. (Photo René Briano)

Les examens internationaux de danse classique de Monte-Carlo sont toujours un événement. Organisés par l'Académie de danse classique Princesse-Grace, école de formation professionnelle dirigée par Marika Besobrasova, ils réunissent en effet chaque année les écoles satellites qui suivent de par le monde le même programme d'études que l'Académie.

Et pour la 30e session qui vient de s'achever, vingt pays différents étaient représentés, de l'Afrique du sud à la Corée en passant par le Canada et le Japon.

Mention de groupe pour [illegible]

90 % des candidats ont réussi leur diplôme. L'école de danse classique de Monte-Carlo (professeur Mme Kim Lavoignat) dirigée par Mme Besobrasova, qui s'adresse aux enfants de trois ans jusqu'à leur entrée dans les classes de formation professionnelle de l'Académie a obtenu une mention de groupe (mention B).

Les résultats de cette année ont été particulièrement brillants pour la dernière classe dont tous les élèves étaient issus de l'Académie. Tous ont en effet obtenu leur certificat d'aptitude de danseur professionnel. Deux élèves ont réussi à décrocher la mention très bien. Il s'agit de [illegible]

[illegible] pour la rentrée avec les Ballets de Stuttgart, et du Slovaque Jozef Varga, qui bénéficiait d'une bourse pour artistes offerte à l'Académie par le programme Ascheberg de l'Unesco, en association avec la Fondation [illegible]

✔ Un sans faute pour la classe de fin d'études

✔ Contrat avec les Ballets de Stuttgart

✔ Mention "Plus" pour le Français Bougon

Princesse-Grace. [illegible]

[illegible] Paunovic, et l'Italien Valerio Mangianti, se sont vus décerner la mention assez bien, et le Français Bertrand Bougon, la mention « Plus ».

Rappelons que le jury, sous la présidence de Marika Besobrasova, était composé de Paola Cantalupo, danseuse étoile des Ballets de Monte-Carlo ; Françoise Dubuc, soliste du Ballet Théâtre de Nancy ; Jean-Charles Gil, danseur étoile de Ballets de Monte Carlo et du Ballet de Marseille de Roland Petit ; Toru Suzuki, maître de ballet des Arènes de Vérone ; Hélène Traïline, conseiller auprès du ballet de l'Opéra de Paris, conseiller artistique du Ballet de l'Opéra de [illegible]

## საუკეთესო კიმონოები საუკეთესო ფასებში



საუკეთესო ხარისხის კარატეს კიმონოები ირანიდან, ყველაზე დაბალ ფასებში, ფართო ასორტიმენტით.



მსურველებმა დაწვრილებით ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისს.

მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქუჩა №6. ტელ: 96-31-89.

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული
ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

## სტუდენტური სპორტი

ყურადღება!

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".
გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.
მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.
ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი"*
*- გაახალგაზრდავდით!*

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ